რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 10 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

„თანამედროვე აზრის" სტამბა

გაზეთის ფასი: თვიურად 2 მან. 60 კაპ., თითო ნომერი 12 კაპ. კანტორა „განათლებიდან" აგენტებს დაეთმობა 9 კაპ. და [illegible] 80 კაპ. [illegible] —15 კაპ.; [illegible] 5 მანეთი [illegible] —8 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] ავტორებს [illegible] და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში ხელთნაწერების მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 119 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 119

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 10 აგვისტოს, სასახლის თეთრ დარბაზში
დანიშნულია ამიერ კავკასიის გლეხთა საბჭოთა ცენტრის
მორიგი სხდომა
ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

კვირას, 13 აგვისტოს, დილის 10 საათზე
სახალხო სახლში
დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოება
„აღორძინება"-ს
წევრთა წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები.

დაბეჭდილი ანგარიშები წევრებს შეუძლიათ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებაში.

თუ კრება არ შესდგა მეორე კრება დანიშნულია იქვე 20 მარიამობისთვისთვის, დილის 10 საათზე (ახალ დროზე).
გამგეობა.

განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
8 კლასიანი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია
ყოველგვარ უფლებით
დ. ი. ბეროზაშვილისა
მიიღებიან მოწაფეები I მოსამზ., უმცროს და უმფროსს მოსამზადებელ I, II, III, IV და V კლასში.
თხოვნების მიღება ყოველ დღე ✦ გამოცდა დაიწყება 21 აგვისტოს.
დროებითი კანცელარია ღიაა დილის 9—2 საათ. და საღ. 5—8 საათამდე ბათომის ქ., № 23, დიდუბე, (ელისაბედის ქ. ყურე) მეორე სართული. ტრამვაი 8.

ვერის მუშათა და ჯარის-კაცთა პოლიტიკური კლუბი.
ხუთშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე
ამხ. ვერეშჩაგი წაიკითხავს ლექციას
„სასურსათო და სატრანსპორტო საკითხების მდგომარეობა რუსეთში და მიმდინარე კრიზისი"

კვირას, 13 აგვისტოს, დანიშნულია თელავის შემ.-გამსესხ. ამხანაგობის
წლიური კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1915 წლის ანგარიშის შესახებ, 2) 1916 წლის ანგარიში, 3) მოხსენება საბჭოსი 1916 წლის ანგარიშის შესახებ, 4) გამგეობის მოხსენება სესხზე სარგებლის დაკლების შესახებ 11 დან 10 დე, 5) გამგეობის მოხსენება ვადით შემოტანილ ფულზე სარგებლის დაკლების შესახებ, 6) გამგეობის მოხსენება გირავნობის ქვეშ სესხის გაცემის თაობაზე, 7) საბჭოს მოხსენება რწმუნებულთა კრების შემოღების შესახებ ნაცვლად წევრთა კრებისა, 8) გამგეობის ერთი წევრის არჩევა ნაცვლად კიკვიძისა და საბჭოს 7 წევრისა ნაცვლად: მ. ამაშუკელისა, მ. ხომიზურაშვილისა, ლუკა კიმოთაძისა, ს. ყურაშიძისა, ა. ყარაულაშვილისა, ა. თუშიშვილისა და ნ. ორკოდაშვილისა, რომელთაც წელს სამსახურის ვადა შეუსრულდათ.

რომ კრება კანონიერი იყოს, საჭიროა დაესწროს არა ნაკლებ 250 ამხანაგი.

ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის
სკოლაში მეცადინეობა დაიწყება 1 ენკენისთვიდან.
მოწაფეებს უკვე იღებენ. ასწავლიან ჭრა კერვას. კურსი ერთ-წლიანია და უფლებიანი. აქვეა „მერეჟკები".
ვერის დაღმართი სახ. № 3. ბინა № 9, ეზოში.

სააპეკო კომისია ყოფილი საპოლიციო კოოპერატივისა
ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ხუთშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის შენობაში (ბელგიის ქუჩა, № 8), იწვევს წევრთა
საერთო კრებას,
რადგან კვირას, 6 აგვისტოს, წევრთა საჭირო რიცხვის დაუსწრებლობის გამო გადადებულ იქნა
დღის წესრიგი: 1) კოოპერატივის რეორგანიზაცია; 2) წესდების დამტკიცება, 3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

გამოვიდა და იყიდება ლეო ქიაჩელის
მოთხრობა 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობიდან
ტარიელ გოლუა
გამოცემა ავტორისა. წიგნის გავრცელების საქმე მინდობილი აქვს კანტორა „განათლება"-ს. ფასი 2 მანეთი აგენტებს თვითეულ 30 ცალ წიგნზე დაეთმობა ცალზე 25 კ. ნისიათ წიგნი არავის არ გაეგზავნება.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, 1—2 და საღ. 5—6 ნახ. ს-დის. გუნიბის ქ. № 41.

ქ. ქუთაისში.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიუროში, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრაკესი რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9. ეგივე წიგნაკი ქართულად	20 „
10. ოთხი ძმა ქართულად	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ზედგვით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდაუდებლად ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацiи Р. С. Д. Р. П. Головинскiй № 12.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს., საღ. 5—9 საათ. ტელეფონი № 5—98.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).
კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ექიმი ა. დ. პეპელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

თფ. საქონლის სადგურში
იყიდება სხვა და სხვა ბროშურები გამოცემა საოლქო კომიტეტისა.
მსურველს შეუძლია მიმართოს
საშა ჩიგოგიძეს.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 37; [illegible] სახ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვანაშვილისა. ტელეფონი № 5—77.

კადეტთა პარტია და კაზაკები.

კონტრ-რევოლიუცია ძალღონეს იკრებს და ირაზმება. ეს ჩვენ ნათლად ვიხილეთ ვაჭარ-მრეწველთა ყრილობზე. ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა კაზაკთა ყრილობა, რომელსაც კადეტები დაეპატრონენ.

უკანასკნელ დროს კადეტები თავს განმარტოებულად გრძნობდენ. დემოკრატიამ მათ ზურგი შეაქცია. ამის უტყუარი საბუთია ქალაქის ხმოსანთა არჩევნების შედეგი მთელ რუსეთში. ყველგან არჩეულთა დიდი უმრავლესობა სოციალისტებს ეხრობა. კადეტთა პარტიას ქალაქის დემოკრატია საბოლოოთ ჩამოშორდა. და აი ის მოკავშირეებს დაეძებს. ამ ჟამათ კადეტთა პარტია კონტრ-რევოლიუციის ბელადია. მისი მიზანია რეაქციონერებთან შეთანხმება და საერთო ძალღონით რევოლიუციის შეწყვეტა და ცხოვრების უკან დახევა. სწორედ ამ წრეების ლტოლვილება, რომელნიც სათავეში უდგიან კაზაკთა ჯარებს, ცნობილია კაზაკთა როლი თვითმპყრობელობის დაცვის საქმეში. უკანასკნელ დროს კაზაკთა სულისკვეთება რამოდენიმეთ მაინც გამოიცვალა. მაგრამ კაზაკთა ჯარის ხელში დიდძალი ადგილ-მამულია. აგრარული საკითხის გადაჭრა ემუქრება კაზაკთა ლატიფუნდიებსაც. და აი კაზაკთა მეთაურები კონტრ-რევოლიუციის ბელადებიან და წესიერების აღდგენას ითხოვენ. ამ პირობებში მათი და კადეტთა პარტიის ინტერესები შეერთდა. ამით აიხსნება, რომ მათ შორის ბლოკი მყარდება.

კარგი ხანია, რაც პ. მილიუკოვი და ა. გუჩკოვი ცდილობენ კაზაკები თავის იარაღად გამოიყენონ. დღეს თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათმა ცდამ ნაყოფი გამოიღო. კაზაკთა სიეზდმა მიიღო კადეტთა წინადადება დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს შეთანხმების შესახებ. მართალია კაზაკთა დემოკრატიულმა ნაწილმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ ის უყურადღებოთ დასტოვეს. ეს ერთი შეთანხმება კაზაკთა გაბატონებული ნაწილის ინტერესია. ორი კონტრ-რევოლიუციონური ბანაკი ერთი მეორეს უკავშირდება, რომ საერთო ძალღონით ძირი გამოუთხარონ რევოლიუციას და დასცენ დემოკრატიის ბატონობა.

მოძრაობას საფრთხე მოელის. საჭიროა ყველა რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანება, რომ ამ გზით კონტრ-რევოლიუციონერთა პლანები ჩავფუშოთ და რევოლიუცია განვამტკიცოთ და გავაღრმავოთ. კონტრ-რევოლიუციონერთა ბლოკს დემოკრატიის ძალთა გაერთიანება უნდა დაუპირდაპიროთ.

ჩინეთის მსოფლიო ომში ჩარევა.

ჩინეთის მთავრობამ ავსტრია-გერმანიას ომი გამოუცხადა. მსოფლიო ომის ფერხულში აზიის უდიდესი სახელმწიფო ჩაერია და იმპერიალისტური ომის მოტრფიალეთ ახალი მოკავშირე გამოუჩნდათ.

ეს კი იყო ჩინეთის რესპუბლიკანელებმა მონარქისტების კონტრ-რევოლიუციონური იერიშები მოიგერიეს; ჩინეთის დემოკრატიამ ეს კი იყო კატასტროფა თავიდან აიცდინა და ახლა იგი თავისდაუნებურად საგარეო ომში ერევა და მთელი იმპერია ავანტიურის ქსელში ეხვევა.

იმის მაგიერ, რომ ევროპისა და აზიის სახელმწიფოების დემოკრატიას ჩინეთის დემოკრატიისათვის ხელი გაეწოდა მას დახმარებოდა, საერთაშორისო სოლიდარობა გამოეცხადებია—არსებულ მომენტში საერთაშორისო უკულმართ პირობების გამო დემოკრატიამ მისი დახმარება ვერ მოახერხა და ჩინეთის დემოკრატიის და რესპუბლიკის ბედი წილად იმპერიალისტურ კლასებს ხვდა.

მდგომარეობა მეტის-მეტად მძიმეა. ევროპის მუშათა კლასი ამ ჟამათ დიდი საკითხის წინ სდგას და მას საშუალება არა აქვს ჩინეთის რესპუბლიკისა და დემოკრატიისათვის ეზრუნა. მთელი მეომარ სახელ. მუშათა კლასის ყურადღება მსოფლიო ომის დაბოლოებისაკენ არის მიმართული. იგი ამ ჟამად დიდ ენერგიასა და შრომას ხარჯავს საერთაშორისო სამშვიდობო სოციალისტური კონფერენცია მოახდინოს და საერთო ძალით დაუყონებლივ ბოლო მოუღოს და მით მთელი კაცობრიობა დამღუპველ ომისაგან იხსნას.

ამ ნიადაგზე მას იმპერიალისტურმა კლასებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს და მათ შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს. ახლა საერთაშორისო პროლეტარიატს დრო და საშუალება აღარ შესწევდა შორეულ აღმოსავლეთის სახელმწიფოს დემოკრატიისათვის ეზრუნა და მისთვის ძმური ხელი გაეწოდა.

სამაგიეროდ შეთანხმების სახელმწიფოების გაბატონებულ კლასების მონა-მორჩილმა მთავრობებმა თავისი პოლიტიკა აწარმოეს. ინგლის-საფრანგეთის მთავრობამ იაპონიის დახმარებით ჩინეთის ნორჩი რესპუბლიკა და ახალგაზრდა დემოკრატია არა სასურველ ომში ჩააბეს.

შეთანხმების სახელმწიფოებმა საიდუმლო დიპლომატიის მეოხებით ჯერ იყო და ამერიკა მიიმხრეს, ახლა ამერიკას გვერდში ჩინეთიც ამოუდგა; მსოფლიო ომის განგრძლივებას ნიადაგი უმზადდება. ეს საერთაშორისო დემოკრატიის მოძრაობაზე თავდასხმაა. იმპერიალისტური სახელმწიფოები რუსეთის დემოკრატიის მიერ წამოყენებულ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დაუნდობლად ებრძვიან და მის ჩაფუშვას ლამობენ. მათ ომის დაწყებიდანვე საერთაშორისო დემოკრატიის ზავის სასარგებლოთ ბრძოლას ომი გამოუცხადეს და ყოველ ღონეს ხმარობდენ თავიანთ ინტერესები სისრულეში მოეყვანათ.

ამ შემთხვევაში იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც კი ომის დაწყებიდანვე მონაწილეობა მიიღეს, მუდამ იმას ცდილობდენ, რაც შეიძლება მეტი მოკავშირეები ეშოვნათ. მათ ამ შემთხვევაში—განსაკუთრებით შეთანხმების სახელმწიფოების კავშირმა თავის მხარეს მრავალი სახელმწიფოები გამოიყვანა, მათ შორის მტკიცე საიდუმლო ხელშეკრულობა დასდვეს და მოწინააღმდეგე იმპერიალისტურ სახელმწიფოების წინააღმდეგ ომს აწარმოებენ.

ახლა მთელი ქვეყანა ორ დიდ ბანაკათ გაიყო: ცალმხრივ სდგას იმპერიალისტური კლასები და მეორე მხრივ საერთაშორისო დემოკრატია. პირველი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებას ეტრფის და შესაფერ მოკავშირეებს ეძებს, ხოლო მეორე უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას მოითხოვს და ამ ნიადაგზე საერთაშორისო დემოკრატიას აკავშირებს.

ამ შემთხვევაში ჩინეთის ბრძოლის ფერხულში ჩაბმა იმპერიალისტების წისქვილზე წყლის მისხმას ნიშნავს. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ახალი მოკავშირეები იშოვეს და უნდათ აზიის უდიდესი რესპუბლიკანური სახელმწიფო თავის იმპერიალისტური სურვილების განმტკიცებისათვის გამოიყენონ. აქ ეჭვს გარეშეა, ჩინეთის სახელმწიფოს ინტერესები მხედველობაში არ არის მიღებული, მას დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები იარაღათ იყენებენ და თავიანთ ინტერესების განმტკიცებისათვის ხმარობენ.

ამიტომ საერთაშორისო დემოკრატია და, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის რევოლიუციონური კლასები ჩინეთის გამოსვლაში თავიანთ საფრთხეს ხედავენ და მას მეტად სამწუხარო მოვლენათ აღიარებენ.

ფოთის მოქალაქეთ.

არჩევნები ახალი თვითმართველობის—ეს გამოსაცდელი ეგზამენია ხალხის, დემოკრატიის სიმწიფის და პოლიტიკურ გამჭრიახობის.

ის დღეს პირველად მიდის საარჩევნო ყუთთან, რომ ქალაქის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს, იგი დღეს პირველად ხდება მთავარ ძალად, ქალაქის ბატონ-პატრონად, რომელსაც მან თავის არჩეულ და ნდობით შემოსილ პირების საშუალებით უნდა უხელმძღვანელოს. ვინ მოიპოვებს მას ნდობას და ვინ გახდება ქალაქის გამგე და პატრონი?

ყველა პარტია ცდილობს ასეთ ნდობის დამსახურებას. 4—5 სხვადასხვა სია, სხვადასხვა პარტიების წამოყენებული, პირდება მას ქალაქის მომავალ ბედის საუკეთესოთ წარმართვას.

და ჩვენი ვალია ამ სიებში გავერკვეთ. მათი წამომყენებელი პოლიტიკური პარტიების ფიზიონომია გავარკვიოთ და ასე შეგნებულად წარვსდგეთ საარჩევნო ყუთებთან. დღეს თვითეული პარტია და ჯგუფი ხალხს ყოველ ბედნიერებას პირდება. მათი სამოქმედო პროგრამები მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ბედნიერებაზე ლაღადებს. მაგრამ ჩვენ მივხედოთ არა სიტყვებს არამედ საქმეს. ჩვენ ვიცნობთ საარჩევნო ასპარეზზე გამოსულ პარტიების და ჯგუფების მოღვაწეობას, მათ ნაშრომ-ნამოქმედარს და ამ საქმიანობის მიხედვით შეგვიძლია მათი დაფასება.

აი ჩვენ წინაშე თავგამოდებული იცავენ დემოკრატიზმს სოციალისტ-ფედერალისტები და ხალხს თავისკენ ეწიდებიან. შეგვიძლია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ომი

ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით ბრძოლა ცხოველდება. მწვერვ... ფრინ ვების ცნობით მტერი, რიგის ფრონტზე ჯარების გადაჯგუფებას ... მოსალოდნელია ახლო მომავალში ჩრდილოეთ ასპარეზზე დიდი ბრძოლა და-

აქ იგი ცდილობს მთელი თავის ძალ-ღონით რიგის ფრონტი გაარღვიოს და მით ...ის ჯარში დიდი არევ-დარევა შეიტანოს. მას საშვალება აქვს ჯარის გადაჯგუფება მოახდინოს, სუსტ ადგილს დაეცეს, ხოლო რუსის სარდლები კი ახეთ უპირატესობას სხვა და სხვა მიზეზების გამო მოკლებულია. მაშასადამე შესაძლებელია აქაც მტერმა მიზანს ადვილათ მიაღწიოს.

რუმინიის ფრონტზე, ოკნა ფოკშანის მიმართულებით მტერი შემოტევას განაგრძობს. რუმინიისა და რუსის ჯარი იგერიებს ჟერ-ჟერობით იგერიებს.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

საფრანგეთის ფრონტზედაც ღირს შესანიშნავი არა მომხდარა.

იტალია ავსტრიის ფრონტზე იტალიის ჯარმა მედგრათ შემოუტია—განსაკუთრებით იულის ალპების ფრონტზე. აქ იტალიის ჯარს დიდი გამარჯვება ხვდა: მათ ტყვეთ წამოიყვანეს 7500 ჯარისკაცი და 100 აფიცერი.

მათ ნდობით მოეპყრათ? გუშინ, რევოლიუციის აფეთქებამდე სულ რაღაც ორიოდე წლის წინეთ ისინი თვითმართველობის დემოკრატიზაციის ნაცვლად ცენზიან ერობის შემოღებას ევედრებოდენ ბიუროკრატიულ მთავრობას. აზნაურულ ერობის მოტრფიალენი გუშინ—დღეს ერთბაშათ უკიდურეს დემოკრატიულ საქმიანობას გვპირდებიან.

რეაქციის ხანაში ისინი თვით ხეობელ—აკობიას ეჯიბრებოდენ დემოკრატიულ მოძრაობის წესის აგებაში და მის ხელმძღვანელთა დასამცირებლად ჭორების შეთხზვაში. დღეს რევოლიუციის ტალღებს აყოლილნი მაღალ ფრაზებს ყვირიან, ხვალ რა კილოზე ამღერდებიან, რეაქციის სიომ რომ დაბეროს? და განა შეიძლება ასეთ მედროვეთ ხალხის ნდობა მიეცეს და ხალხის საქმეში წინამძღოლობა ჩაებაროს?

ნაციონალ დემოკრატები—ეს გუშინდელი გამოჩეკილი პარტია ქართველ ბურჟუაზიის და საზოგადოების შეძლებული ნაწილისა მთელ თავის სამოქმედო გეგმას ამ კლასის ინტერესების დაცვაზე ამყარებს.

მარა დაცვა ბურჟუაზიის და იმავე დროს დაცვა ხალხის ინტერესების ერთმანეთთან მოურიგებელია. ცხადია დემოკრატია მათ ნდობით ვერ აღჭურავს, თავის ხალხურ ინტერესების დაცვას კლასიურ მოპირდაპირეებს ხელში ვერ ჩაუგდებს. ეს ხომ თვით მკვლელობა იქნებოდა.

სოციალისტ-რევოლიუციონერები ჩვენში უმთავრესათ რუსის ჯარის წარმომადგენლებია და როგორც ასეთი დროებითი და წარმავალი. ცხადია, ქალაქის სვე ბედის გადაწყვეტაში იგი შემთხვევითი ელემენტია და ამიტომ მათ ნდობით ვერ მოვეკიდებით. დაგვრჩა კიდევ ერთი უპარტიო სია, ვინ იფარება ამ უპარტიობის სამოსელში? ძველი ხმოსნები, ძველი თვითმართველობის მოღვაწენი, ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით. მათთვის ხმის მიცემა ნიშნავს მთელი რევოლიუციონური ბრძოლის გაბათილებას, ყველა მონაპოვარ უფლებებზე ხელის აღებას, გაახლების მაგიერ თვითმართველობის—თვით ხალხის ნებით დასამარებას.

თვითმართველობის ძველ მოღვაწეთა საქმენი საგმირონი, დღემდეც აჩნია ქალაქის მეურნეობას.

მათი ბელადი ნ. ნიკოლაძე—ცნობილი მოსაქმე თვით ბიუროკრატიულ რეჟიმის დროსაც კი ვერ ასცდა სასამართლოს თავის „შემოქმედებით“ მუშაობის გამო. ხოლო დემოკრატიისთვის ის სრულიად გამოუსადეგარია. ბიუროკრატიის კანცელარიებში შეჩვეულ მოხელეს დემოკრატიის ინტერესების გაძღოლა არ შეუძლია.

ხალხს და მის მოამაგეთ ის წინეთაც მხოლოდ ბოროტი სიტყვით იხსენიებდა, სახალხო მოძრაობას—ქვეყნის დამღუპველათ და საკვირველია, რა პირით სურს ამ მოძრაობით მოპოვებულ თავისუფლებას მეთაურათ მოექცეს?

ცხადია დემოკრატიულ თვითმართველობას სულ სხვა მოღვაწეები ესაჭიროება; სულ სხვა გვარია დღეს თვით სამოქმედო ასპარეზი თვითმართველობის.

იგი ხალხის სრულ უფლებიანობის, სუვერენობის ადგილობრივი განმახორციელებელია და მასში ადგილი უნდა მიეცეს მხოლოდ იმ პარტიას, რომელმაც ხალხის მიერ უფლებების მოპოვებას შესწირა თავის ძალა და ენერგია. იმ პარტიას, რომელიც თვით უსაშინელესს რეაქციის ბნელ ხანებშიაც განუწყვეტლივ ედგა დარაჯათ ხალხის უზენაეს ინტერესებს და მის ჭირსა და ლხინს თანაბრად იზიარებდა, ასეთია სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. მხოლოდ მას შეუძლია სავსებით გაამართლოს ხალხის იმედები, მხოლოდ მას შეუძლია დღესაც გაუძღვეს რუსეთის დიად რევოლიუციურ ბრძოლას თავისუფლების საბოლოოდ დასამკვიდრებლად.

ქალაქის თვით-მმართველობა—ეს ადგილობრივი ციხე სიმაგრეა განმათავისუფლებელ მოძრაობის, საიდანაც იგი დაიცავს რევოლიუციის მონაპოვარ უფლებებს და შექმნის მტკიცე დემოკრატიულ რესპუბლიკანურ წყობილებას.

და ვისაც სურს ბრძოლაში გამობრძმედილ, ძველ ნაცად პარტიის კანდიდატების საიმედო ხელში ჩააბაროს ქალაქის სვე ბედი და ბედი რევოლიუციის, მან უნდა მისცეს ხმა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მის სიას № 1.

კავკასიის მთავარმა ქალაქებმა, თფილისმა, ქუთაისმა და სხვებმა უკვე დაგვანახვეს ამის მაგალითი. მათ ნდობით აღჭურვეს რევოლიუციურ მუშათა პარტიის კანდიდატები, მათ ნდობა გამოუცხადეს რევოლიუციას და მის მთავარ ხელმძღვანელ პარტიას.

ფოთის მოქალაქენო! ახლა ჯერი თქვენზეა. თქვენ უნდა გვერდში ამოუდგეთ სხვა ქალაქ-სოფლებს და ხმა მისცეთ სოციალ დემოკრატიის მუშათა პარტიის სიას № 1.

ორმაგი გამარჯვება.

6 აგვისტოს ქუთაისში და თელავში საქალაქო არჩევნები მოხდა. ორივე ქალაქში სოციალ-დემოკრატების სიამ № 1 გაიმარჯვა და მოწინააღმდეგე პარტიები სამარცხვინოდ დამარცხდნენ. ქუთაისში სოციალ-დემოკრატებმა 66 ხმოსანთა კანდიდატებიდან 39 ხმოსანი გაიყვანეს, სოციალ სტ-რევოლიუციონერებმა 13, ფედერალისტებმა 9, ნაციონალ-დემოკრატებმაც 3 და პროგრესისტებმა 1. სოციალ-დემოკრატების გამარჯვება სათვალჩინოა.

დიდებულად გავიმარჯვეთ თელავშიაც. სოციალ დემოკრატებმა გაიყვანეს 16 ხმოსანი, დაშნაკცუტიუნებმა 6, სოციალ-ფედერალისტებმა 3 და სამიც ნაციონალ დემოკრატებმა.

ორივე ქალაქში სოციალ-დემოკრატების ხმოსნები აბსოლიუტიურ უმრავლესობას შეადგენენ და ნაციონალისტურსა და სოციალისტ-რევოლიუციონურ პარტიებს ბატონობის დროშა ხელიდგან გამოჰგლიჯეს.

ამ არჩევნებმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნეს, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ხალხის დემოკრატიული ნაწილი სრულ ნდობას უცხადებს და იგი თავისი ინტერესების საუკეთესო დამცველებად მიაჩნიათ. ამაოა ჩვენი მოწინააღმდეგების უმგვანო აგიტაცია, თითქო სოციალ-დემოკრატია მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის ინტერესებს იცავდეს და დანარჩენ დემოკრატიულ კლასებს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უწევდეს. სოციალ-დემოკრატია თავისი პროგრამა-მინიმუმით ყველა დაჩაგრულ და გადატვირთულ კლასების თუ ეროვნების ინტერესების ერთგული მოსარჩლეა და ყველაზე უკეთესს გულშემატკივრობას მათ იგი უწევს. ამიტომაც არის ფართო დემოკრატია საპარლამენტო, თუ საქალაქო არჩევნებში მუდამ და ყოველთვის სოციალ-დემოკრატიულ დროშას აფრიალებდა თავს და მას თავის მფარველად აღიარებდა.

კავკასიის, განსაკუთრებით კი თფილისისა და ქუთაისის გუბერნიის დემოკრატია ტრადიციულად, თავისი სწორი და უტყუარ მასიურ ინსტინქტის მეოხებით სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გვერდში უდგა და მას არა დროს არ ღალატობდა.

მას მერე, რაც მან ოთხ-ფორმულიანი საარჩევნო უფლება მიიღო—ზემოთ დასახელებულ გუბერნიების დემოკრატიულმა მცხოვრებმა თავისი სრული ნდობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გამოუცხადა და ნაციონალისტურ პარტიებს ქვა მიუგდო.

ჩვენი ნაციონალისტები ხშირათ გვისაყვედურებდენ, რომ სოციალ-დემოკრატები ხშირად ინტერნაციონალურ ქალაქებში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში იმარჯვებდენ სადაც მცხოვრებთა შორის სხვა და სხვა ერის ხალხი სცხოვრობენო; თვითონ კანდიდატებიც სხვა ერების ხმებით გაჰყავთო. თავისთავად საგულისხმოა, ჩვენ ეს საქებურად მიგვაჩნია, ვინაიდან ინტერნაციონალური პარტია მუდამ და ყოველთვის ინტერნაციონალ სოლიდარობაზეა დამყარებული და მის გარშემო, განურჩევლად ეროვნებისა, ყველა ტვირთმძიმენი თავს იყრიან და იქიდან გამოელიან ხსნას.

მაგრამ ქუთაისის არჩევნებმა სოციალ ფედერალისტების ზემოთ დასახელებული იმედები გაუცრუა და თვით ქართულ ქალაქში, სადაც დიდი უმრავლესობა ქართველები სცხოვრობენ, ქუთაისის საქალაქო არჩევნებში სოციალ ფედერალისტებსა და ნაციონალ დემოკრატებს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს.

დემოკრატია ყველგან და ყოველთვის სოციალ დემოკრატიის ემხრობა და მას თავისი ინტერესების დამცველად აცხადებს, მხოლოდ ნაციონალისტებს-კი უნდობლობას უცხადებენ. ამის დასამტკიცებელი საბუთი ქ. თელავის საქალაქო გამარჯვებაა. აქ სომხის დემოკრატიამ ნაციონალისტურ დაშნაკელთა პარტიას ზურგი აუქცია და სოციალ-დემოკრატებს მიემხრო.

დიახ, რევოლიუციის ხანაში ყველა ერის დემოკრატია ინტერნაციონალისტურ პარტიას ზურგს უმაგრებს და მას გვერდში უდგება. ეს-კი მთავარი საბუთია რევოლიუციის გამარჯვების და დემოკრატიის ინტერესების პირუთვნელად დაცვის და ნაციონალური შუღლის განელების.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 8—9 აგვისტო).

რკინის გზის მუშათა გაფიცვის მოლოდინი ინგლისში.

ლონდონი. ვაჭრობის დეპარტამენტმა გამოსცა ცნობა, რომ ორთქლ მავალის მექანიკოსები და კაჩეგრების საზოგადოება იმუქრება გაფიცვას მოვახდენთ, რომ შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღეო. მოძრაობას არ შეუერთდა რკინის გზის მოსამსახურეთა ნაციონალური კავშირის 400.000 წევრი. დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ ეხლა შეუძლებელია 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და მწუხარებას აცხადებს, რომ მცირე ჯგუფმა დაარღვია რკინის გზაზე წეს-რიგი. ვაჭრობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ განუცხადა მუშებს, რომ სამუშაო დღის შემოკლება შესაძლებელია მხოლოდ ომის გათავების შემდეგ. რკინის გზის მემანქანეთა კავშირის მდივანმა განაცხადა, რომ გაფიცვა აუცილებელია.

რუმინიის მხრის წარმომადგენელთა შეურაცხყოფა.

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის არა ჩვეულებრივ კრებაზე წერეთელმა განაცხადა, რომ მასთან მოვიდნენ რუმინიის საელჩოს ატაშე და მდივანი და განუცხადეს, რომ ისინი მიდიოდენ ტრამვაის ვაგონით და ფრანგულად ლაპარაკობდენ. იქვე მჯდომმა აფიცერმა უხეშათ მიმართა და მოსთხოვა მათ უკან გაჰყოლოდათ, როცა ვაგონიდან გამოვიდნენ აფიცერი ერთ მათგანს ეცა, წაქცია და მხეცური ძალადობა იხმარა მაზე. ეს აფიცერი აღმოჩნდა პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს წევრი. წერეთელმა განაცხადა, რომ მან და დამნაშავე აფიცერმა მთელი დემოკრატიის სახელით ბოდიში მოიხადეს შეურაცხყოფილთა წინაშე. ის და მარტივი წინადადებას იძლევა გააძეონ ეს აფიცერი საბჭოდან. კრება ერთხმათ ღებულობს ამ წინადადებას.

ამ სამწუხარო ამბავმა ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. როგორც გამოირკვა აფიცერი მთვრალი ყოფილა. გამვლელ ჯარის-კაცების დახმარებით მან დაიჭირა რუმინიის საელჩოს ატაშე და მდივანი, როგორც ვითომ ჯაშუშები და გაგზავნა საკომენდანტოში, აქ უცბათ ყველაფერი გამოირკვა და ორივე დიდის ბოდიშით გაანთავისუფლეს, როცა გაიგეს, რომ მათი დამჭერი აფიცერი იზმაილოვის პოლკის პრაპორშჩიკი ლობაჩენკო პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს წევრი, მის თანხლებით წავიდნენ საბჭოში და შეატყობინეს ყველაფერი თავმჯდომარე წერეთელს. წერეთელმა ეს ამბავი ხელად შეატყობინა კრებას და ჩხეიძესთან ერთად ბოდიში მოიხადა შეურაცხყოფილთა წინაშე. შეიტყო თუ არა ეს ამბავი საგარეო საქმეთა მინისტრმა ტერეშჩენკომ მაშინვე შეატყობინა მინისტ თავმჯდომარეს და სამხედრო მინისტრს, რომლის ბრძანებით დამნაშავე აფიცერი სწრაფად დააპატიმრეს. კერენსკიმ და ტერეშჩენკომ ინახულეს ატაშე და მდივანი და ბოდიში მოიხადეს.

ახალ სეიმის არჩევნებისთვის მზადება.

ჰელსინგფორსი. ცენტრალურმა კომიტეტებმა მთელ ფინლიანდიაში დაიწყეს მოქმედება ახალ სეიმის არჩევნებისათვის. ყველა პოლიტიკური პარტიები გაცხარებით ემზადებიან არჩევნებისათვის. ნიულანდიის ს. დემოკრატიულ პარტიის საოლქო განყოფილებამ დაადგინა გაგზავნოს სხვა და სხვა ადგილას გამოცდილი პირები სააგიტაციოთ. საოლქო კომიტეტს დაევალა გაანაწილოს რაიონებში აგიტატორები.

ქალაქის თავი ს.-რევოლიუციონერი.

ბობრუისკი. ბობრუისკის ქალაქის თავათ აირჩიეს დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე ს.-რევოლიუციონერი ექიმი დომოგაროვი.

სოციალისტური სენატი.

ჰელსინგფორსი. გენერალ-გუბერნატორმა მიანდო სეიმის ტალმანს მანნერს შეადგინოს სოციალისტური სენატი. მანნერმა პასუხი არ მისცა, რადგანაც საჭიროთ დაინახა ჯერ პარტიულ ამხანაგებთან მოლაპარაკება. პირადათ მან ის აზრი გამოსთქვა, რომ სოციალისტები დასთანხმდებიან.

შავრაზმელთა ბუნაგი.

ადესა. ადესაში აღმოაჩინეს შავრაზმელთა ბუნაგი. მოახდინეს ჩხრეკა. იპოვნეს შავრაზმული ლიტერატურა. აღმოჩნდა, რომ კავშირს დიდძალი ფული ჰქონია. გამოძიება სწარმოებს. დააპატიმრეს სტუდენტი ანარქისტი ვოლსკი.

მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. გამოქვეყნდა მთავრობის დადგენილება, რომლითაც სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს უფლება ეძლევათ დააპატიმრონ ყველა ის პირნი, რომელთა მოქმედება ხელს უშლის ქვეყნის დაცვის საქმეს, შინაურ მშვიდობიანობას და რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებას ან და წინადადება მისცენ დასტოვონ რუსეთის საზღვრები.

მოსკოვის თათბირი.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ განიხილა რამდენიმე საკითხი, მოსკოვის თათბირის შესახებ. სხვადასხვა დაწესებულებების, ჯგუფების და ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაუგზავნა 1500 მოწვევის ბარათი. სხვადასხვა ადგილებიდან აურაცხელი თხოვნები მოდის, მაგრამ თხოვნებს უყურადღებოთ სტოვებენ. თათბირზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ იმ წარმომადგენლებს, რომლებიც წინასწარ შედგენილ სიაში მოჰყვნენ.

მოწვევის ბარათები გაუგზავნეს საერობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს—186, ადგილობრივ გაერთიანებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—88. დაადგინეს თათბირზე დასწრების ნება მისცენ საგუბერნიო კომისარებს, რომლებიც პეტროგრადის ყრილობაზე არიან ჩამოსულნი. თათბირი დახურულ კარებში მოხდება. დაესწრებიან მხოლოდ პრესის წარმომადგენელნი. დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენლებს საგანგებო ადგილი დაუთმეს. თათბირი მოხდება დიდ თეატრში, სადაც გამართული იქნება ფოსტა ტელეგრაფის კანტორა და ცნობათა ბიურო, თათბირის მონაწილეთა ბინით და სურსათით უზრუნველყოფა იკისრა მოსკოვის ქალაქის თვითმართველობამ, პეტროგრადიდან თათბირის წარმომადგენელი და დროებით მთავრობის წევრები სპეციალურ მატარებლებით წავლენ. თათბირს დაესწრებიან მინისტრს-თავმჯდომარე, ფინანსის, შინაგან საქმეთა, შრომის და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრები. თათბირი გაიხსნება 12 აგვისტოს შუადღისას. დეკლარაციას წაიკითხავს მინისტრი თავმჯდომარე. ამის შემდეგ წაიკითხვენ სამ საზოგადო ხასიათის მოხსენებას, შემდეგ თათბირი შესწყდება და განახლდება 14 აგვისტოს და ჯგუფებს საკუთარ განცხადებების შემოტანის ნება მიეცემა.

ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის ამხანაგი.

პეტროგრადი. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის ამხანაგათ დაინიშნა მოსკოვის სასამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი გელიანტოვიჩი.

დროებითი მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. ამ უკანასკნელი ხნის მწვავე გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რევოლიუციის და თავისუფლების იმ ელემენტებისაგან, რომლებიც ამ რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას მის დასამხობად და გასაქრობად იყენებენ, აიძულა დროებითი მთავრობა მიიღოს სასტიკი ზომები. მთავრობა ვერ შეასრულებდა თავის მოვალეობას ქვეყნისა და რევოლიუციის წინაშე, უკეთუ ის ქვეყნის დასაცავად მხოლოდ მარტო სასამართლოს წესით შეეცდება გავლენა იქონიოს დამნაშავე პირზე. მთავრობა უნდა შეეცადოს დასაწყისშივე ჩააქროს რევოლიუციის წინააღმდეგ ყოველივე მოქმედება, რადგან ამ ომიანობის დროს ღიად წესიერების დარღვევა დიდ საფრთხეს უქმნიდეს მთელ სახელმწიფოს. დროებითი მთავრობა ეცდება დაიცვას ყველას პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები, ყოველივე ღონეს იღონებს დასაწყისშივე ჩააქროს ყოველივე უწესოება, რისთვისაც უფლებას აძლევს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს მიიღონ განსაკუთრებული ზომები. ამისთვის დროებითმა მთავრობამ დაადგინა: უფლება მიეცეს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს, ა) დაადგინოს იმ პირთა დატუსაღება, რომელთა მოქმედება ზარალს აყენებს სახელმწიფოს დაცვას და რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას; ბ) წინადადება მიეცეს აღნიშნულ პირთ განსაზღვრულ ვადაში დასტოვონ რუსეთის საზღვრები და უკეთუ დროზე არ წავლენ, ან უკან დაბრუნდებიან, დატუსაღებულ იქნებიან; გ) დაევალოს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრს შეიმუშავონ პირველ მუხლში ნაჩვენებ ზომების მისაღები წესები. მინისტრთა თავმჯდომარე კერენსკი.

დაცვის შესახებ თათბირი.

პეტროგრადი. გაიხსნა დაცვის თათბირი, რომელიც მოწვეულია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ. თავმჯდომარეობს ჩხეიძე. შინაგან საქმეთა მინისტრი ავქსენტიევი მიესალმა კრებას და სთქვა, რომ რუსეთის დემოკრატია ქვეყნის დასაცავათ პირველ რიგში წავა და უჩვენებს სხვებს დახსნის გზას. მომხსენებელმა ბოგდანოვმა აღნიშნა თათბირის მიზანი: ფაბრიკა ქარხნების წარმოების გაძლიერება თვით მუშების მიერ, გლეხებში იმ აზრის გაღვივება, რომ ყოველივე ღონე იღონონ მიაწოდონ ჯარს სურსათი, ფრონტის სულიერათ ამაღლება და თავდაცვისათვის ფულების შეგროვების საქმის მოწყობა. ამისათვის უნდა მოუწოდონ ქვეყნის ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

ომის დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.).

პეტროგრადი. 8 აგვისტო. დვინის მიმართულებით სროლა გაცხოველდა, განსაკუთრებით საარტილერიო სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო დრისვიატის ტბის ჩრდილოეთით. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, ზატურცის ჩრდილოეთით მტრის იერიშები შევაჩერეთ.

რუმინიის ფრონტზე, მდ. ბისტრიცის რაიონში, კრუჩეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ რამდენიმე იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენ მათი იერიშები მოვიგერიეთ. ოკნის მიმართულებით, მდ. სლონიკას სამხრეთით, მტერმა იერიშები მოიტანა და ოდნავ წინ წაიწია. სოვეჯის მიდამოებში გერმანია-ავსტრიის ჯარმა რუმინიის სანგრების ერთი წყება დაიკავა.

ფოკშანის მიმართულებით იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე დრო გამოშვებით სროლაა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ლონდონი. 7 აგვისტო. საფრანგეთის ფრონტზე, ეპეის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. სონსას სამხრეთით მტრის პოზიციებს დავეცით და იქ მყოფ ჯარისკაცებს ზიანი მივაყენეთ. ვანის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია.

რომი. 7 აგვისტო. იულის ალპების რაიონში ჩვენმა ჯარმა მდ. იზონცოს მარცხენა ნაპირი გადალახა. პლავასა და ზღვის შუა მდებარე სიმაგრეებზე იერიშები მივიტანეთ და წინ წავიწიეთ. ამ ბრძოლაში 208 ჰაეროპლანი იღებდა მონაწილეობას. ტყვეთ წამოვიყვანეთ 7500 ჯარისკაცი და 100 აფიცერი.

დეპეშა.

ახალ-ქალაქი. ახალ-ქალაქის სოციალისტ-რევოლიუციონერთა და სოციალ-დემოკრატთა კომიტეტები საჭიროთ სცნობენ დაუყონებლივ მოახდინონ გლეხთა კავშირის ხელახალი არჩევნები. არსებული გლეხთა საბჭო—არ არის მთელი გლეხობის მიერ არჩეული. მის არჩევაში მხოლოდ გლეხთა მესამედმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა.

ს. რევ. პარტიის წარმ. ცერბინიანი.
ს.-დემ. პარტიის წარმ. ივ პიჩიკიანი

ახალი ამბები

◆ **ამხ. მ. ი. სკობელევი თფილისში** შრომის მინისტრს მ. ი. სკობელევს ორშაბათს ჰქონდა თათბირი ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტისა და სხვა რევოლიუციონურ ორგანოთა წევრებთან. მინისტრს მიესალმა ამხ. ევგენი გეგეჭკორი. სკობელევმა წარმოსთქვა ორი სიტყვა, ერთი სასახლის თეთრ დარბაზში სათათბიროთ შეკრებილ რევოლიუციონურ ორგანოთა წარმომადგენლების წინაშე, მეორე სიტყვა სასახლის აივანიდან ჯარისკაცების წინაშე წარმოსთქვა. საღამოს 8 საათზე ამ. კავკ. საგანგებო კომიტეტის წევრებსა და მინისტრს შორის მოხდა აზრთა გაცვლა გამოცვლა მიმდინარე საკითხების შესახებ. საღამოს მინისტრი დაესწრო ქალაქის საბჭოს პირველ სხდომას, აქაც ორი სიტყვა წარმოსთქვა და შემდეგ ღამის მატარებლით გაემგზავრა პეტროგრადში. მინისტრი ცოტა ხნით შეჩერდება როსტოვში.

◆ **ამხ. აკაკი ჩხენკელის გამგზავრება.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მოსკოვის თათბირზე თავის წარმომადგენლად გაგზავნა ამხ. აკაკი ჩხენკელი. თათბირის დასრულების შემდეგ აკაკი ჩხენკელი გაემგზავრება პეტროგრადს, სადაც დროებით მთავრობასთან ერთად მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა მიმდინარე კითხვების გადაჭრაში.

◆ **ტრამვაის მუშათა საქმე.** ამას წინათ ჩვენ ცნობა გვქონდა მოთავსებული ტრამვაის 14 მუშის შესახებ. ისინი სთხოვდენ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრს ამხ. აკაკი ჩხენკელს აღეძრა შუამდგომლობა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების გადასინჯვის შესახებ. ეს მუშები შემთხვევით გამოუტოვებია ტრამვაის დირექციას სიიდან. ამით დაეკარგათ დროებით თავისუფლებით სარგებლობის უფლება და ქალაქის კომიტეტის დადგენილების თანახმათ ფრონტზე უნდა გაიგზავნონ. აკაკი ჩხენკელს უკვე მიუმართავს შუამდგომლობით ქალაქის დროებით თავისუფლების მიმცემ კომიტეტისათვის, ხოლო ტრამვაის დირექციას სთხოვა საკითხის საბოლოოთ გამორკვევამდე დატოვოს სამუშაოზე ხსენებული მუშები. ჩხენკელისავე წინადადებით დირექცია ცდილობს თავის შეცდომის გამოსწორებას და შუამდგომლობს განთავისუფლებულ იქნან ეს მუშები სამხედრო ბეგარისაგან ისე, როგორც სხვა მათი ამხანაგები.

◆ **ფოთში.** რ. ს.-დ. მ. პ. ფოთის კომიტეტი სთხოვს ყველა იმ ადგილობრივ ამხანაგებს, რომლებიც ფოთის გარეთ იმყოფებიან, 12 აგვისტოს აუცილებლად ფოთში უნდა დარჩნენ არჩევნების გამო.

◆ **გაფიცვა კოოპერატივებში** მზარეულთა და საზოგადოთ, სამზარეულოში მომუშავეთა გაფიცვის გამო 6 აგვისტოს გაიფიცნენ კოოპერატიული სასადილოს მოსამსახურეებიც.

◆ **მზარეულთა გაფიცვის გამო.** 6 აგვისტოს ს. გოგიბერიას თავმჯდომარეობით მოხდა კრება სასტუმროების, ბუფეტების და სხ. პატრონებისა. მზარეულთა გაფიცვის გამო დაადგინეს შეკავშირდენ და ლოკაუტი გამოუცხადონ მოსამსახურეებს. ამასთანავე გადასწყვიტეს სთხოვონ ქალაქის გამგეობას და მილიციის უფროსს არავის არ მისცენ სასადილოებისა და სხ. გახსნის ნება კავშირის დაუკითხავად.

◆ **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.** 8 აგვისტოს სამხედრო საოლქო სასამართლოში პირველად იქმნა გარჩეული საქმე ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით. ასამართლებდენ სამხედრო მოხელეს გლადკოვს სამსახურში უმოქმედობის გამოჩენისათვის. ნაფიც მსაჯულებად მოწვეული იყო 4 ჯარის კაცი და 4 აფიცერი. გლადკოვი სამსჯავრომ გაამართლა. მის დამცველად გამოვიდა ნაფიცი ვექილი დ. გეპმტენი.

◆ **„ბუნდი“.** თფილისში დაარსდა რ. ს.-დ. მ. პ. ებრაელთა ორგანიზაცია „ბუნდი“.

◆ **ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა** საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებსა და ბაქოს კომისარს შემდეგი ცნობა გაუგზავნა: პოლიციის გაუქმების გამო, რომლის მოვალეობას შეადგენდა ფოსტა-ტელეგრაფის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესებულებათა დაცვა, თფილისის საფოსტო ოლქის უფროსი სთხოვდა საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს ამ დაწესებულებათა დაცვა გადაეცათ მილიციისათვის. უკანასკნელ ხანებში ხშირათ მოდის ცნობები დარაჯთა ნაკლებობის გამო საფოსტო დაწესებულებათა გაძარცვის გამო. ამიტომ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი სთხოვს საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს მიიღონ ენერგიული ზომები საფოსტო დაწესებულებათა დასაცავათ.

◆ **გაფიცვა.** მზარეულთა გაფიცვის გამო გაიფიცნენ თფილისის სადგურის ბუფეტის მოსამსახურეებიც. მიუხედავათ იმისა, რომ ბუფეტის პატრონი თანახმა ყოფილა დააკმაყოფილოს მოსამსახურეთა ყველა მოთხოვნილებები, გაფიცულები მაინც არ იწყებენ მუშაობას, ამის გამო ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსი სთხოვს მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციას ხელი შეუწყოს ბუფეტებში გაფიცვის დაჩქარებით დასრულებას.

◆ **ლტოლვილები.** ლტოლვილთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ატყობინებს სომეხთა ცენტრალურ კომიტეტს, რომ თფილისში მყოფი ლტოლვილები უნდა გაშორდენ თფილისს და პროვინციაში დაბინავდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არავითარი დახმარება არ მიეცემათ.

◆ **მ. და ჯ. ქ. დეპუტატების საბჭოს** მუშათა სექციის წევრთა საერთო კრება მოხდება ორ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

◆ **შანტაჟისტის შეპყრობა.** 6 აგვისტოს, პეტროგრადის საერთაშორისო ბანკის თფილისის განყოფილებაში დაიჭირეს ვიღაც სტეფანე გირგიდოვი, რომელსაც ყალბი ქაღალდებით უნდოდა ბანკიდან ფულის გატანა. გირგიდოვის დაჭერა მოხდა ქ. პეტროვსკის მილიციის უფროსის დეპეშის თანახმად. დაკითხვიდან გამოირკვა, რომ გირგიდოვი ცნობილი ქურდია და აფერისტი ყოფილა. სისხლის სამართლის მილიციის ოქმებში არის აღნიშნული, რომ იგი არა ერთხელ გაქცეულა ციხიდან.

◆ **გაზეთის გაწერა.** სამსონ ლ—ნიძემ სამი თვით ჩვენი გაზეთი გაუწერა გერმანიის ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს.

კრებები და მიტინგები.

დღეს, დღის 1 ს. სახალხო თეთრ დარბაზში დანიშნულია მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება, სთხოვენ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

პროვინციის ქრონიკა.

დ. სურამი. 28 ივლისს, ღამის 8—9 საათ. ღვინით გალეშილმა რამდენიმე პრაპორჩიკმა სურამში სროლა ასტეხეს საფოსტო-განყოფილების პირდაპირ. ფოსტაში მდგომ ჯარისკაცებს ეგონათ ფოსტას დაეცნენო და თავის მხრივ მათაც ასტეხეს სროლა. მთელი სურამი შეინძრა, ვინ სად გარბოდა, ანუ სად იმალებოდა ვერ გაიგებდით. ბოლოს გამოირკვა, რომ რამდენიმე მოქეიფე ყმაწვილი, ორი პრაპორჩიკი და ოქონის მღვდელი ბაგრატ გიორგაძე ბრძანებულან ლაზათიანათ შეზარხოშებულნი. ყველანი ხაშურში დაატყვევეს გარდა მღვდელი გიორგაძისა, რომელიც დაიმალა, აჰყარეს იარაღი და გადასცეს გარნიზონის უფროსს. მეორე დღეს გაანთავისუფლეს, დაუბრუნეს იარაღები და ოქმი შეადგინეს. სხვებს რომ თავი დავანებოთ სულიერ მამას რაღა უნდოდა იქ?!

ბაქოს ამბები.

შრომის მინისტრის თავმჯდომარეობით ბაქოში 4 აგვისტოს შესდგა მუშებისა და ნავთის მრეწველების წარმომადგენელთა შეერთებული თათბირი. თათბირს დაესწრენ თანასწორი წარმომადგენლები ორივე დაინტერესებული მხრიდან. ამ თათბირმა უნდა გამოიმუშაოს კოლექტიური ხელ-შეკრულება, რომლითაც მოხდება შეთანხმება მუშებსა და მრეწველებს შორის.

სკობელევმა გაარკვია დღევანდელი მდგომარეობა და დამსწრეთა ყურადღება იმისკენ მიაქცია, რომ მათ დაევიწყებიათ ჯგუფური თუ სხვა ინტერესები და სახეში მიიღონ მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესები. შემდეგ დაუმატა: იმედი მაქვს ეს კონფლიქტი სასურველად დამთავრდება. დროებითი მთავრობის ასეთ კონფლიქტებში ჩარევა ამის საშუალს იძლევა. ამას წინეთ ვოლგის გემის პატრონები და მუშები მოვარიგე. ამ იმედით წამოველ ბაქოსკენ. ყოველივე ზომა უნდა იქნას ნახმარი, რომ გაფიცვა არ მოხდეს და თუ ვინიცობაა ვერავითარი საშვალებით ამ საქმეს ვერ მოაგვარებთ, მაშინ დროებითი მთავრობა ყოველივე ზნეობრივ პასუხს მგებლობას თავის თავზე მიიღებს და გადასწყვეტს საკითხს ისე, როგორც მე დავინახავ ამას აუცილებლათ. ილაპარაკეს შრომის კომისარმა ის. რამიშვილმა, მრეწველებისა და მუშების წარმომადგენლებმა. დაბოლოს მინისტრმა სთქვა: თქვენ უნდა ყოველმხრით შეისწავლოთ საკითხი თუ ვინიცობაა მუშების მოთხოვნილება წარმოებას არ დააზიანებს, დაკმაყოფილებული იქნება. ნავთზე ფასის მომატებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდება დროებითი მთავრობა, უკეთუ გამოირკვევა, რომ ნავთის წარმოებას არ შეუძლია დღევანდელი ფასების მიხედვით მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სკობოლევი და «ოხრანკა»

„ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უწყებებში“ მოთავსებულია პატარა ცნობა, რომელიც კარგათ ახასიათებს ჩვენში ჟანდარმერიის „მუშაობას“ სახელმწიფო დუმის არჩევნების დროს. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მეოთხე სახელმწიფო დუმის არჩევნებს. თფილისის ჟანდარმერიამ კარგათ იცოდა, თუ რა ძალას წარმოადგენდა კავკასიაში სოციალ-დემოკრატია, ამიტომ თავის დროზე შეუდგა საქმეს. 19 სექტემბერს 1912 წელს თფილისის ჟანდარმთა სამართველო ასეთ ქაღალდს გზავნის ბაქოში: „როგორც აგენტურის ცნობებიდან ვიცით, ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას აზრათ აქვს, ამრჩეველთათ გაიყვანოს ვინმე მოლოკანი ინჟინერი სკობოლევი, რომელიც რწმენით სოც.-დემოკრატია, სცხოვრობდა საზღვარ გარეთ და ახლახან დაბრუნდა რუსეთში. ისიც ვიცით, რომ სოც. დემოკრატებს ამ არჩევნებში დიდი იმედი აქვთ და ფიქრობენ ბაქოდან ამრჩევლების უმეტესობის გაყვანას. კანდიდატების სიას საიდუმლოთ ინახავენ და გამოაქვეყნებენ არჩევნების წინ. ვსთხოვ თქვენს მაღალ-კეთილ შობილებას გამოარკვიოთ ხსენებული მოლოკანის სკობოლევის ვინაობა აგრეთვე სხვა სოციალდემოკრატებისა და შემდეგ მაცნობოთ მე. ხელს აწერს პოლკოვნიკი პასტრიულინი“.

ბაქოს „ოხრანკა“ დაიბნა, ვინაიდან ბაქოში რამდენიმე სკობოლევი აღმოჩნდა. განსაკუთრებით თვალ ყურის გდება დაუწყეს ერთ-ერთ ნავთის წარმოებაში მოსამსახურეს მიხეილ სკობოლევს. ეს პირი იმ გარემოებამ იხსნა, რომ ის „ინჟინერი“ არ აღმოჩნდა. სანამ ეს გამოძიება სწარმოებდა, საიდუმლო წიგნებიდან გაჰქრა ინჟინერი სკობოლევი—ის სადღაც წავიდა ბაქოდან.

ამის შემდეგ, მხოლოდ 1 ოქტომბერს გაიგო „ოხრანკამ“, თუ რომელ სკობოლევზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ამ დროს ამრჩეველთა სიაც გამოქვეყნდა. ეს, რა თქმა უნდა, ველარ მოაითმინა თფილისის ჟანდარმერიამ და ოქტომბერში შემდეგი საიდუმლო დეპეშა აფრინა ბაქოში: „დაჩქარებით გამოგზავნეთ ცნობები რუსის კურიის ყველა ამომრჩევლების შესახებ. თუ რაიმე საბუთი მოიპოვება ჩხრეკის მოხდენის შესახებ, საჭიროა, ეს მოხდეს, რათა ამ არჩევნებში მათი დაპატიმრებით და მათზე მიწერ-მოწერის დაწყებით შევსძლოთ სოც.-დემოკრატების დამარცხება“. ამ დეპეშას შემდეგი დეპეშაც დაადევნეს: „თუ ვინცობაა ინჟინერ სკობოლევმა ბაქოდან სადმე წასვლა დააპიროს, წასვლის წინ გაჩხრიკეთ და მოიქეცით ისე, როგორც საჭიროთ დაინახოთ“.

მაგრამ სკობოლევი სადღაც გაჰქრა, თითქოს ის ბაქოში აღარ იმყოფებოდა.

ამ დროს ამრჩეველთა არჩევნებიც მოხდა. გავიდნენ უმეტესობა სოციალ-დემოკრატები. 14 ოქტომბერს ასეთ მოხსენებას უგზავნის ბაქოს „ოხრანკა“ თფილისისას: „რაც შეეხება ინჟინერ სკობოლევს, როგორც ამ ჟამად ირკვევა, ის ერთად-ერთი სადეპუტატო კანდიდატია. აგენტურის ცნობების თანახმად, ის რწმენით სოციალ-დემოკრატია და ფულით დახმარებას უწევს გაზეთ „პრავდის“ გამოცემას, რომელიც ქალაქ ვენაში გამოდის. სკობოლევი ამ ჟამად ბაქოში არ იმყოფება და როცა დაბრუნდება, გარეგან თვალყურსაც ვადევნებთ მის მოქმედებას“.

მაგრამ „ოხრანკას“ იმედები არ გაუმართლდა. ამხ. სკობოლევი არჩეულ იქმნა დეპუტატად. ის სოციალიზმს ემსახურებოდა დუმაში, რევოლუციონერთა პირველ რიგში იდგა და ძველ წეს წყობილების წინააღმდეგ იბრძოდა! ახლა ის სოციალისტი-მინისტრია.

ვის არ ახსოვს პასტრულინი? თფილისის „ოხრანკის“ უფროსი!

თქვენ უკვე იცით გაზეთებიდან, თუ როგორ შეხვდნენ მას თფილისში, ბევრმა თქვენგანმა მონაწილეობაც კი მიიღო ამ დღეებში სკობოლევის შეხვედრაში...

სად არის ამ ჟამად პოლკოვნიკი პასტრულინი?

ის, თფილისშივე, ციხეში ზის!

ნიკოლოზ რომანოვის გადასახლება ციმბირში.

ამას წინათ ჩვენს გაზეთში დეპეშა იყო მოთავსებული ყოფილი მეფის ნიკოლოზ რომანოვის ციმბირის ქალაქ ტობოლსკში ოჯახობითურთ გადასახლების შესახებ. სატახტო ქალაქის გაზეთები ამას შესახებ შემდეგს გადმოგვცემენ.

მთელი რიგი რევოლუციონური ორგანიზაციებისა და მათ შორის საფრონტო კომიტეტები დაბეჯითებით მოითხოვდნენ ნიკოლოზის გადაყვანას ალექსანდრეს სასახლიდან პეტრე პავლეს ციხეში; მათი აზრით ალექსანდრეს სასახლე არ იყო საიმედო ადგილი. ეს ორგანიზაციები ამბობდნენ: თუ დროზე არ იქნა შესაფერი ზომები მიღებული, ეს სასახლე შესაძლებელია კონტრ-რევოლუციის სიმაგრეთ გადაიქცესო. პეტროგრადის მ. და ჯ. ქ. დეპუტატების საბჭომ ცნობა მიიღო, რომ მეფის მიწერ-მოწერა აქვს სხვადასხვა პირებთან, მისი წერილები ცენზურის გარეშე იგზავნებაო და სხ. 3—5 ივლისს მომხდარი ამბების შემდეგ კიდევ უფრო დარწმუნდნენ ეს ორგანიზაციები მეფის სხვა ადგილას გადაყვანის აუცილებლობაში. გენ. გურკოს მეფისადმი მიმართული წერილის აღმოჩენამ ხომ ბრმებსაც კი გაუხილა თვალები. ამას გარდა, მიუხედავათ სასახლის სასტიკათ დაცვისა, იმ ადგილას, სადაც მეფე და მისი ოჯახობა სეირნობით გამოდიოდენ, კერძო პირებიც გაჩნდნენ. იქ სამი ჯარის კაციც კი ნახეს, რომლებიც როგორც შემდეგ გამოირკვა, უბრალო „ცნობის მოყვარეობით“ შესულიყვენ ბაღში, რომ ენახათ „ბატონი პოლკოვნიკი“, რომელიც მათ წინათ არ უნახავთ.

ასეთმა მოვლენებმა დროებით მთავრობას პირდაპირ დაუსვა საკითხი მეფის სხვა ადგილას გადაყვანის შესახებ. მთავრობამაც ეს საკითხი დადებითათ გადასწყვიტა, მაგრამ გადაწყვეტილებას მთავრობა საიდუმლოთ ინახავდა—არავინ არ იცოდა რაში იყო საქმე. ამიტომ იყო, რომ 1 აგვისტოს ღამის პირველ საათზე ცარსკოე სელოს სადგურიდან თავრიდის სასახლეში მივიდა მილიციონერი და მუშ. და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოს განუცხადა, რომ ცარსკოე სელოს სადგურზე დიდი მზადებაა სადღაც მატარებლებს აგზავნიან და,—როგორც ეტყობა, ყოფილი მეფის ნიკოლოზის გაქცევას აპირებენო. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმაც არაფერი არ იცოდა ამის შესახებ. იმ წამსვე გადასწყვიტეს სოციალისტ-მინისტრებს შეკითხებოდენ. ტელეფონთან გამოიწვიეს ირ. წერეთელი და ვ. ჩერნოვი. მინისტრებმა საბჭოს წევრები დაამშვიდეს და აუხსნეს, რომ ეს ყველაფერი იცის დროებით მთავრობამ, ყველაფერი ხდება დროებით მთავრობის განკარგულებით, ყოფილი მეფე სხვა ადგილას გადაჰყავთო. ამის შემდეგ საბჭოს წევრები გაემგზავრენ სადგურზე და იქ შემდეგი ნახეს: მატარებლებს გზავნიდენ ცარსკოე სელოში, იქიდან წამოიყვანებოდენ ყოფილ მეფეს ოჯახითურთ და პეტროგრადში შეუჩერებლათ გაამგზავრებდენ აღმოსავლეთისკენ, ე. ი. ციმბირისკენ. ნიკოლოზის გადაყვანის საქმეს კერენსკი ხელმძღვანელობდა. ოთხი მსროლელ პოლკიდან ამოირჩიეს საუკეთესო, საიმედო ჯარისკაცები—200 კაცამდე და ასე შეადგინეს მოდარაჯეთა რაზმი, რომელიც უნდა გაყოლოდა მეფეს დანიშნულ ადგილამდე.

წასვლის წინ ნიკოლოზმა მოისურვა კერენსკისთან ლაპარაკი.

„კონვოისთან“ გამომშვიდობებისას ნიკოლოზმა უსურვა მათ ისე გულ-მოდგინეთ ემსახურეთ სამშობლოსთვის, როგორც მეფეს ემსახურებოდენ. ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ მას გული წყდება, როცა შორდება თავის მშობლიურ სოფელს, ცარსკოე სელოს, მაგრამ იმედოვნებს, რომ ომის გათავების შემდეგ მას ნებას დართავენ იქ ცხოვრებისას. ყოფილი მეფის ოჯახობა საერთო მოწყენილობას შეეპყრო გარდა ალექსისა, რომელიც ასეთ კითხვებს იძლეოდა: რატომ მთელი ზაფხული აქ გავატარეთ და არა ლივადიაში. ყოფილ დედოფალს და მეფის ქალიშვილებს მატარებელში ჩაჯდომისას თვალები აცრემლებული ჰქონდათ. სასახლიდან სადგურამდე ყოფილი მეფე თითონ კერენსკიმ მიაცილა და როცა ნიკოლოზმა მატარებლის საფეხურზე ფეხი შედგა, კერენსკის დაეყრდნო ხელით მხარზე და ისე შევიდა მატარებელში. ყოფილი მეფე და მისი ოჯახობა სადგურზე გააცილა მისმა ძმამ მიხეილ ალექსანდრეს ძემ, რომელსაც ამის ნება დართეს.

სწორედ დილის 5 საათსა და 45 წუთზე მატარებელიც დაიძრა ტობოლსკისაკენ. მატარებლით ყოფილი მეფის მოგზაურობას ასე აგწერენ გაზეთები: როცა სადგურებზე კონდუქტორებს სცვლიდენ, მათ არც კი იცოდენ თუ რანაირი მატარებელს მიჰყვებოდენ. გზაში ზოგიერთ ადგილას მატარებელს აჩერებდენ და ყოფილ მეფეს საშუალებას აძლევდენ ოჯახითურთ გასეირნებისა. პირველად მატარებელი გაჩერეს სად. ბაბაევისთან, მეორედ სვეჩა რაზუმთან, აქ მეფე მატარებლიდან ჩამოხტა და ოჯახითურთ ფეხით გაიარა სამი ვერსი აღმართი. მატარებელი ნელ-ნელა მიდიოდა. გზაში მატარებელს თითქმის ყველა სადგურებზე ეხვეოდენ მოგზაური ჯარის-კაცები და ცდილობდენ ვაგონებში ადგილების დაკავებას, მაგრამ მატარებლის დარაჯები მათ კონდახის კვრით ისტუმრებდენ, როცა ჯარის-კაცები გაიგებდენ ხოლმე ამ მატარებლით ყოფილი მეფე მიჰყავთო, სიამოვნებით აღნიშნავდენ, რომ ყოფილი მეფე ნიკოლოზს ისე გულმოდგინეთ იცავენ, როგორც მას იცავდენ მეფობის დროსო. მეფე ცალკე ვაგონში იყო მოთავსებული, რომელსაც გარედან ეწერა „წითელი ჯვრის ამერიკელთა მისსია“. ვაგონების შესავლის წინა ადგილებში ტყვიის მფრქვეველები იყო დადგმული. ყოფილ მეფეს ტობოლსკში დროებით მოათავსებენ გენ.-გუბერნატორის სახლში, შემდეგ კი გადაიყვანენ ერთ ერთ მონასტერში, რომელიც რკინის გზიდან მოშორებულია 300 ვერსით.

გამგზავრების წინ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ნიკოლოზი თურმე სულ იმას ამბობდა: ვერ გამიგია რა აზრი აქვს ჩემს აქედან გადაყვანას, ნუ თუ ვერ გაიგეს, რომ ამ ჟამად მე არავითარ ძალას აღარ წარმოვადგენ, რომ მე საშიშრო აღარა ვარ. წასვლის წინ ალექსი გაიქცა და გამოემშვიდობა მებოსტნეს, რომელსაც უკანასკნელად მეტის-მეტად დაუმეგობრდა. ალექსი და საზოგადოთ ყოფილი მეფე ოჯახობითურთ მთელი დღე ბოსტანში მუშაობას ანდომებდა დროს.

ქ. ფოთის ხმოსანთა არჩევნები მოხდება 13 აგვისტოს.

ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატ. პარტიის ორგანიზაციამ წამოაყენა ხმოსანთა კანდიდატების შემდეგი

სია № 1.

1. **საბახტარიშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე,** იურისტი, თავმჯდომარე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოისა, აგრეთვე ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისა.
2. **ხოფერია კონსტანტინე ალექსანდრეს ძე,** იურისტი, თავმჯდომარე სასურსათო კომიტეტისა და წევრი მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოისა.
3. **ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე,** მუშ. საბჭოს მდივანი, ისტორიკოსი ლინგვისტი.
4. **მერელიძე ლიუდმილა ისმაილის ასული,** ფოთის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე და საყმაწვ. ჟურნალ. „ნაკადულის“ და „ჯეჯილის“ თანამშრომელი.
5. **ბარინოვი მიხეილ ვასილის ძე,** სახელოსნო სკოლის გამგე, წევრი ქალ. აღ. კომიტეტისა და მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოისა.
6. **კომახიძე ივანე არსენის ძე,** მუშა, წევრი ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოისა.
7. **იაგოდინსკი ბარის ივანეს ძე,** ჯარის კაცი, იურისტი, თავმჯდომარე ჯარისკაცთა საბჭოისა და ქალაქის კომისარი.
8. **გოგიბერიძე სიმონ კონსტანტინეს ძე,** მუშა, წევრი მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოისა.
9. **საბახტარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე,** ხე-ტყის მრეწველი, და აღმ. კომიტეტის წევრი.
10. **ჯაკობია თომა მანუჩარის ძე,** მასწავლებელი, მუშ. და ჯარის-კაცთა საბჭოს წევ.
11. **ქუთათელაძე პეტრე იორდანეს ძე,** მასწავლებელი, წევრი მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოსი.
12. **ტულუში ლავრენტი მაქსიმეს ძე,** მესტამბე, წევრი ქალაქის აღმ. კომიტეტისა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოისა.
13. **ჩხაიძე ვარდენ მაქსიმეს ძე,** ჟურნალისტი, ფოთის სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელი.
14. **სამსონაძე არისტრახო ივანეს ძე,** მასწავლებელი, წევრი ქალაქ. აღ. კომიტეტისა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოისა.
15. **სახკანჩილაძე შალვა იოსების ძე,** რკინის გზის აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე და წევრი მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოისა.
16. **ფაჩულია იაკობ სიკოს ძე** რკინის გზის მემანქანეს თანაშემწე.
17. **თოფჩიაშვილი სამუელ მოშეს ძე,** კომერსანტი.
18. **ჟვანია ნიკოლოზ ერასტოს ძე,** ნოქართა კავშირის თავმჯდომარე და მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი.
19. **ნოდია ივანე რომანოზის ძე,** ფერშალი.
20. **ცანავა ალექსანდრე გაბრიელის ძე,** მასწავლებელი.
21. **მახარაძე ნიკოლოზ სიმონის ძე,** კომერსანტი.
22. **ბოკუჩავა დოროთე იოსების ძე,** წევრი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი.
23. **იმნაძე ივანე გაბრიელის ძე,** წევრი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი.
24. **თოფურიძე აკაკი ალექსანდრეს ძე,** რკინის გზის კანტორის მოსამსახურე.
25. **ზამბახიძე ნიკიფორე ალმასხანის ძე,** რუს. სან. საზ. კანტორის მოსამსახურე.
26. **გოგავა ერმალო ბიჭიას ძე,** თავმჯდომარე ხელოსანთა კავშირისა.
27. **ჭოჭუა ამროსი ვახტანგის ძე,** კომერსანტი.
28. **ქუჩუხიძე ილია პავლეს ძე,** რუს. სან. საზ. კანტორის მოსამსახურე.
29. **ულენტი კარპეზ მაქსიმეს ძე,** ტეხნიკი, წევრი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი.
30. **ბოლქვაძე ალექსანდრე ნიკიფორეს ძე,** ფოსტა-ტელ. მოხელე.
31. **ხომერიკი თეოფილე ანთიმოსის ძე,** მეურნე.

დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

დროებითი მთავრობის დადგენილება

თავი II.

საარჩევნო უფლება.

3. დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ყველა იმ ორთავე სქესის მოქალაქეთ, რომელნიც კი არჩევნების დღეებამდის 20 წლისანი შესრულდებიან.

შენიშვნა: არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ აგრეთვე იმ სამხედრო პირთაც, ვინც არჩევნების დღეებში იმ ხნისა ხდება, რახნისაც ამ უკანასკნელად ვადაზე ადრე გაწვეულნი პირნი იყვნენ.

4. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ: კანონიერ წესით ჭკუაზე შემცდარად, ანუ შეშლილად და აგრეთვე სხვათა მზრუნველობაში მყოფნი ყრუ მუნჯი.

5. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ერთმევათ:

1. კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით დასჯილებს, თუ მათ ადრევე არა აქვთ აღდგენილი სრულ უფლებანობა.

ა) კატორღით დასჯილებს, სასჯელის მოხდიდან 10 წლის განმავლობაში.

ბ) გადასახლებულებს, ტუსაღების გამოსასწორებელ განყოფილებაში და გამოსასწორებელ სახლებში ჩასმულებს, სატუსაღოში თუ ციხეში მყოფთ, და უფლება აყრილთ, ანუ უფლება-შეზღუდულთ—სასჯელის მოხდიდან 5 წლის განმავლობაში.

2) ქურდობისათვის დასჯილებს, ისეთებს გარდა, ვინც დანაშაულობისათვის მომრიგებელ მოსამართლისაგან სასჯელთა წესდების 171 მუხლის მე-2 პუნქტით არიან დასჯილები (კანონთა კრებული მე-15 ტომი 1914 წ. გამოცემა), ვერაგობისათვის და ჩაბარებულ ქონების მისაკუთრებისა და გაფლანგვისათვის დასჯილებს, იმ გამფლანგველთა გარდა, ვინც ამავე წესდების 177 მუხლის მე-2 ნაწილის და სისხლის სამართლის და გამოსასწორებელ სასჯელთა დებულების 1681 მუხლის მე-2 ნაწილის (1912 წ. გამ.) ძალით არიან დასჯილები, (კან. კრებ. მე-15 ტომი), აგრეთვე მათ, ვინც მოტაცებულის გადამალვისთვის არიან დასჯილები, მათ, ვისაც ხელობათ გადაუქცევია გირაოების აღება და აშკარა ნაქურდალის ყიდვა, ვინც დასჯილია მოტაცებისათვის, მევახშეობისათვის, სიყალბისათვის, მექრთამეობისათვის, ქრთამის მიცემისათვის, გარყვნილობისათვის და გამოუსადეგრობისათვის დასჯილებს (კან. კრებ. ტ. მე-15, სისხ. სამ. დებულებანი, გამ. 1909 წ. მე 524—526¹, 526 ნ. ხ. 527 და 529 მუხლები) და აგრეთვე საკანონმდებლო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში განზრახ ხელის შემშლელებს—სასჯელის მოხდიდან 3 წლის განმავლობაში.

3) სასამართლოს განმარტებით ვალის გადახდის ვერ შემძლებლათ ცნობილებს და ბოროტ-გამზრახველობით გაკოტრებულებს— 3 წლის განმავლობაში დღიდან სასამართლოს დადგენილებისა.

4) თავის ნებით ჯარიდან წამოსულ სამხედრო მოსამსახურეთ (დროებით მთავრობის დადგენილება 1917 წ. მაისის 26 კანონთა კრებული 683 მუხლი, და ბრძანება ლაშქრისა და ფლოტისადმი 1917 წლის მაისის 31—№ 17) იმათ გარდა, ვინც საარჩევნო სიების საჩივრების განახლებამდის ან შესაწყნარებელ მოწმობას წარადგენენ, ან დანაშაულის სამსახურში მხნეობით გამოსყიდვებს, ან და სასამართლოდან გასასამართლებელ განაჩენსა თუ ისეთ სასჯელის მოწმობას წარუდგენენ, რომელიც მას უფლებას არ უსპობს.

6) არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეყრებათ აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთ, რომელნიც კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებით დამნაშავეებათ არიან ცნობილნი იმ მოქმედებებში, რომელთაც სასჯელთა სამხედრო წესდების 162 მუხლის ნაწილი და 163 მუხლი. (სამხედრო დადგენილებათა კრებული 1869 წ. წიგნი 22, გამოც. მე-4) და სასჯელთა საზღვაო წესდების 162 მუხლის მე 3 ე ნაწილი და 163 მუხლი (საზღვაო დადგენილებათა კრებული წიგნი 16 გამოც. 1915 წ.) შეეხება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეყრებათ აგრეთვე იმ მოქმედებებში დამნაშავეთ, რომელთაც სასჯელთა სამხედრო წესდების 165¹ მუხლი და სასჯელთა საზღვაო წესდების 165, მუხლის შენიშვნები იხილავენ, იმ შემთხვევაში თუ დამნაშავე თავის ნებით არ შეავსებს თავის მიერ გაფლანგულსა და დახარჯულს. (სამხედრო დადგენილებათა კრებული 1869 წ. 22 წიგნი გამოცემა მე 4, 168 მუხლი და საზღვაო დადგენილებათა კრებული წიგნი 16 გამოც. 1915 წ. 167 მუხლი) ან და სასჯელის გადახდიდან 3 წელიწადი არ გასულა. იმ სამხედრო პირებს, რომელთაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი ომის გათავებამდის აქვთ გადადებული, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ერთმევა.

7) საარჩევნო უბნის თვითეულ არჩევნებში მონაწილეობის ნება მხოლოდ უბნის საამომრჩევლო სიაში შეტანილ პირებს აქვთ.

8) არჩევნებში მონაწილე პირებს უფლება აქვთ ამორჩეულნი იყვნენ თვითეულ საამომრჩევლო ოლქში, თუნდაც ის სხვა ოლქის საარჩევნო სიაში სულაც არ ინიშნებოდნენ.

9) არჩევნებში არ დაუშვებენ იმ საამომრჩევლო სიებში შეტანილებს, რომლებიც არჩევნების დროს საამომრჩევლო უფლებას დაჰკარგავენ (მე 4 და მე 6 მუხლი) და აგრეთვე ისინი ვინც ნაჩვენებ დროისთვის თავისუფლება აყრილნი იქნებიან ან კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენებით ან და რომელიმე დანაშაულისათვის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ დატუსაღებით.

10) რუსეთის ყოფილ მეფის სახლის წევრები ვერც არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას და არც მათი არჩევა შეიძლება დამფუძნებელ კრებაში.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

თიანეთი.

1 აგვისტოს გაიმართა თიანეთის მაზრის ხელმძღვანელ ბიუროს კრება. კრებამ მსჯელობა იქონია მიმდინარე მდგომარეობის შესახებ და გამოითქვა ის აზრი, რომ საჭიროა მუშაობის გაძლიერება მაზრაში, ორგანიზაციების მოწყობა და მოწყობილის გამტკიცება. კრებამ დაადგინა, რომ ამხანაგებში დისციპლინა უნდა იყოს დაცული. თიანეთში მომხდარ ამბების შესახებ, დაადგინეს გამოაშკარავონ ყველა ფაქტები პრესაში.

დასასრულ კრებამ შეიმუშავა წესრიგი საერთო მუშაობის შესახებ. მაზრის ხელმძღვანელ ბიუროში ამ ჟამად შედიან: ე. ალ. ხ—ვი, ნ. ქუმ—შვილი, გ. მინ—შვილი, დ. გ—ძე, ფ. რ—შვილი, ს. დ—შვილი და ს. წ—ური.

თიანელი.

აბარაკი ზოგის-მთა (გურია).

15 მკათათვეს აქ შესდგა დამფუძნებელი კრება ადგილობრივ ს. დ. პ. წევრთა. კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ ამხ. პარმენ თოთიბაძე, მდივნათ ა. შილ—ძე. კრებამ გადასწყვიტა გაიმართოს პარტიული კრებები სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დაადგინეს აგრეთვე, რომ 18 წლის მოწაფეები დაშვებულ იქნას პარტიულ კრებაზე. პრეზიდიუმი აირჩიეს ამხ. პარმენ თოთიბაძე, დომენტი თალაკვაძე და ანდრო შილაკაძე.

ა. წითელმთიელი.

ხად. რიონი.

სად. რიონის მუშა მოსამსახურეებიც არ ჩამორჩნენ საერთოდ რევოლიუციონურ მოძრაობას, რევოლიუციის პირველ დღეებშივე აქ მოაწყვეს სოც. დემოკრატიული ორგანიზაცია და, გარდა თითო ორიოდა უფროს მოსამსახურისა (რომელთაც მუშური პარტია არაფრად ეპიტნავებათ) ყველანი ჩაეწერენ წევრებათ და გულმოდგინეთ მუშაობენ. იწვევენ ლექტორებს, მართავენ კრებებს და სხვა. სადგურის უფროსის თანაშემწე ამხანაგ შალვა თინეიშვილი აირჩიეს ორგანიზაციის ხელმძღვანელათ, და ღირსეულადაც ასრულებს თავის მოვალეობას. მისი ინიციატივით მოეწყო სადგურის სამკითხველო, სამკითხველოს აქვს 24-მდე რუსული ქართული ჟურნალ-გაზეთები. შეიძინეს რამდენიმე თანამედროვე წიგნები. აწყობენ აქ კოოპერატიულ დუქანსაც. დუქნის შენობა უკვე შეიძინეს და იმედი არის ამ მოკლე დროში გაიხსნება კიდეც.

მახათი.

პროვინციის ცხოვრება.

ყვირილა. 15 ივლისს, მოხდა ყვირილის რაიონის მასწავლებელთა ყრილობა. სხვა კითხვებთა შორის გასარჩევი იყო შემდეგი საყურადღებო კითხვები: ნივთიერ-უფლებრივი მდგომარეობა, არჩევნები მასწავლებლებისა და ინსპექტორებისა, მეცადინობის დაწყება და კურსების გახსნა.

ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: 1) მასწავლებელთა ყრილობა აუცილებლათ სცნობს დაუყონებლივ გატარდეს ცხოვრებაში კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის რეზოლიუცია მასწავლებელთა ნივთიერათ უზრუნველყოფის შესახებ.

მასწავლებელთა და გამგეთა არჩევნების შესახებ კრებამ მიიღო კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების რეზოლიუცია, რომლითაც მასწავლებლები და გამგეები ირჩევიან პედაგოგიური საბჭოსაგან. ეს უკანასკნელი შესდგება: ადგილობრივი თვითმართველობის, მშობელთა წრის და სკოლის კორპორაციის წარმომადგენელთაგან თანაბრათ მხოლოდ იმ შესწორებით, რომ დატოვება იმ მასწავლებლებისა, რომლებთაც თავისი მოქმედებით რაიმე ჩირქი ეცხებათ, გადაწყდება საგანგებო ძიებლო კომისიის აზრის თანახმათ, ჩვეულებრივის წესით. გამგეები ირჩევიან სამი წლით. **შენიშვნა:** იმ სკოლებში, სადაც სამი მასწავლებელია, საბჭოში შედის ორი წარმომადგენელი თვითმართველობიდან, მხოლოდ ერთი მშობელთა წრიდან. სახალხო სკოლების ინსპექტორების თანამდებობა, როგორც ინსტიტუტი, კრებამ გაუქმებულათ გამოაცხადა. სკოლის მართველობის შესახებ სავსებით მიიღო კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების დადგენილება, სახელდობრ: სკოლის მართველობა უნდა იყოს კოლეგიალური, რომელიც შესდგება შეკავშირებულ მასწავლებლობის და საზოგადოებების წარმომადგენლებისა თანაბრათ.

კურსების მოწყობის შესახებ კრებამ დაადგინა; მოეთხოვოს მთავარ გამგეობას იშუამდგომლოს კომისარიატის წინაშე, რომ მან აუცილებლათ გამონახოს საშუალება კურსების მოსაწყობათ. მეცადინეობის განახლების შესახებ კრებამ მიიღო დადგენილება, რომ სწავლა იქნეს დაწყებული 1 ენკენისთვეს და თუ კურსები გაიხსნა მაშინ გადაიდოს კურსების გათავებამდის.

კრების მონდობილობით: მდივანი კრებისა თ. ჭურაძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

რათ სტყუის ბ. შალიბაშვილი და გაზეთი „საქართველო"?

(იხ. „საქართველო" № 167 და 168)

ძნელია და უსიამოვნოც პასუხი გასცე ისეთს კაცს, რომელსაც საკუთარი ნამოქმედარი არ ახსოვს და სხვისას კი ამახინჯებს. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც მაიძულებს კალამს მოვკიდო ხელი: ბ. შალიბაშვილი ახსენიებს სურამში მომქმედ ერთ ჯგუფს, რომელსაც ყველა ადგილობრივი დაწესებულებები ხელში ჩაუგდია, თავისებურად მართავს და ხალხს არავითარ ანგარიშს არ აძლევს თავის მოქმედებაში, ამ ჯგუფის წარმომადგენლად კი მე მთვლის. დიდი მტკიცება არ უნდა იმას, რომ ბ. შალიბაშვილს სახეში ჰყავს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატია და რადგან სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ამ ჟამად მოდაშია „საქართველოც" სიამოვნებით ბეჭდავს ამ უკაცრავათ პასუხოს წერილს. მეც მსურს მკითხველ საზოგადოებას ვაცნო „საქართველოს" ლიტერატურულ ეთიკის უტყუარი მაგალითები.

რა დაწესებულებებია „ჩემს" ჯგუფს რომ ჩაუგდია ხელში და ხალხს ანგარიშს არ აძლევს, ან ეს „ხალხი" ვინ არის ასე დიდი ნებით რომ ითხოვს ანგარიშს?

რადგან ხალხიც არის და ხალხიც, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბ. შალიბაშვილი ლაპარაკობს იმ ხალხზე, რომელიც თავს იყრის ბ. შალიბაშვილის და მისი ამხანაგების გარშემო, ესენი არიან: თვით ბ. შალიბაშვილი, მიხლა არუწევი, კოწია ნოდია, ჩიტო აკოფოვი და ტატო ლომიძე—აი ესენი დაატუსაღეს 14 მაისს სურამში არეულობის დროს. კარგათ დავიხსომოთ ამათი გვარები.

დაწესებულებებიდან პირველათ შევეხოთ კოოპერატივს.

კოოპერატივის დაარსებაში მე ერთი მოთავეთაგანი ვიყავი. დღეს ამ კოოპერატივს ოცდაათამდე წევრი ჰყავს, აქვს სავაჭრო, არწყობით მომუშავე ფურნე და სხვ. დაარსდა ის ენკენისთვის გასულს, სულ ჩვიდმეტი წევრი ყავდა მაშინ. პირველ ხანებში უსახსრობის გამო კოოპერატივი მთელი დღე ვერ ვაჭრობდა, რადგან ნოქრების მოვალეობას ჩვენ გამგეობის წევრები, ვასრულებდით. აღსანიშნავია, რომ თითონ ბ. შალიბაშვილი დღემდის არ ჩაწერილა წევრათ კოოპერატივში, ორი მისი ამხანაგი—არუწევი და აკოფოვი, როგორც სპეკულიანტი ვაჭრები წევრებათ არ მიიღეს. დარჩა ორი—ქუჩის ვექილი კ. ნოდია და გამომძიებლის თარჯიმნათ ნამყოფი და სახლის სამართლის დანაშაულობათათვის გამოგდებული ტატო ლომიძე. ამ უკანასკნელმა მეტი წილი ბოლო დროს ციხეში გაატარა ზემო და ხსენებულ ბოროტებათათვის, ხოლო კ. ნოდია მხოლოდ ერთხელ ეწვია კოოპერატივს, სადაც მან დიდი სკანდალი მოახდინა შინაურ საქმეზე ივანე ბერაიას ყვირით მოულოდნელობით გამოწვეულ ინციდენტის გამო. როგორ შეეძლოთ ამათ ანგარიში მოეთხოვათ და ისიც 14 მაისის კრებაზე შეკრებილ საზოგადოების წინაშე, რომელიც ვისი მოწვეული იყო არც კი იცოდა თურმე შალიბაშვილმა, როგორც თითონ სწერს (იხ. № 167). ბ. შალიბაშვილი რომ ხრიკების მოხელე არ იყოს, განა არ ეცოდინებოდა, რომ კოოპერატივს აქვს წესდება, ყავს წევრები, სარევიზიო კომისია და სხვ. აბა დამასახელონ ერთი ვინ მოითხოვა წესიერათ ანგარიში? პირიქით გამგეობა მუდამ იმის ცდაშია, რომ წევრებს ანგარიში მისცეს. აი საბუთები.

ბატ. შალიბაშვილს კარგათ უნდა ახსოვდეს იანვარში გამგეობის მიერ მოწვეული წევრთა კრება, რომელიც იმით იყო შესანიშნავი, რომ აქ პირველათ გამოცხადდა ორატორი არა როგორც წევრი, არამედ როგორც ვექილი, ეს ორატორ ვექილი ბძანდებოდა თვით გრ. შალიბაშვილი, რომელმაც თავისი მამა მიხელ შალიბაშვილი მოიყვანა კრებაზე და განაცხადა—მე მამაჩემი მანდობს მას მაგიერ ლაპარაკსო. მკითხველი იფიქრებს ალბათ—შალიბაშვილის მამა უსწავლელი გლეხი იქნებაო. არა, ის სასამართლოში თარჯიმანის მოვალეობას ასრულებს. აი ამ ახირებულ ვექილს და იურისტს ბ. შალიბაშვილს დაავიწყდა, რომ იანვრის კრებაზე გამგეობამ ანგარიში წარადგინა, მაგრამ არ დამტკიცებულა სარევიზიო კომისიის დაუდევრობის გამო. არჩეულ იქნა მეორე სარევიზიო კომისია, რომელშიც უმრავლესობა შალიბაშვილის მეგობრებია—ესენია ბ. სურამის მოსამართლე და გალალეი სოკოლოვ. არც ამ ვაჟბატონებმა იკისრეს რევიზია და გამგეობა იძულებული იყო ამიერ კავკასიის კავშირის ინსტრუქტორი ბ. კანდელაკი მოეწვია. ეხლა ანგარიში გათავებულია და საზოგადო კრება იძულებული იქნება ან ახალი სარევიზიო კომისია აირჩიოს ან ინსტრუქტორის შედგენილ ანგარიშს დაჰყაბულდეს, კოოპერატივს ათას ხუთას მანეთამდე მოგება აქვს.

ეს არის გამგეობის მხრით ანგარიშის მიუცემლობა? როგორ არ სცხვენია შალიბაშვილს როცა ჩამოთვლის რა თავის ამხანაგებს და აღნიშნავს თუ ვის რაზე ვუწყრები, აცხადებს ვითომ ვაჭარ აკოფოვს და ფულების დამტყუებელ ტატო ლომიძეს ჩემთვის ანგარიში მოეთხოვოს და ამის საბუთებიც კი ინახებოდეს? დაილოცე ლო, თუ საბუთები გქონდა, გეთქვა მაინც რა საბუთებია. ჰმ! სპეკულიანტი ვაჭარი და სახლის სამართლის დამნაშავე კოოპერატივის გამგეობას ანგარიშს სთხოვენ იმ დროს, როცა არც რაიმე წევრის ხმით და არც სარევიზიო კომისიის ხმით ასეთი ნაბიჯი არ გადადგმულა!

მკითხველი თითონ მიხვდება რა ჯურის ხალხთან გვაქვს საქმე, მაგრამ ცოტა რამეს სხვა დაწესებულებებზეც ვიტყვი: **წვრილი კრედიტის ბანკი.** ეს ვაჟბატონები არც ბანკის ახლოს გავლილან. მართალია ბანკის საქმეები სასურველათ ვერ მიდის, მაგრამ განა ახალი გამგეობის ბრალია ეს? ამის ერთი მიზეზი ის არის, რომ ომის გამო ბევრმა სესხი არ დააბრუნა და მამასახლისმა ბლიაძემ, რომელიც შალიბაშვილის მსგავს „რევოლიუციონერობისთვის" კიდეც იჯდა ციხეში, ფულის შეგროვებაში არ გვეხმარებოდა. ყოველ შემთხვევაში ბანკს ცოტა მოსაგებიც აქვს და ახლა გაცემული ფულიც იკრიბება.

ტყუილია ის, რასაც შალიბაშვილი ამბობს, ვითომ ადგილობრივ კლუბს ვძლევდით სესხს და ამით კარტის თამაშს ვუწყობდით ხელს. საზოგადოების ფულებით სარგებლობას სწორეთ მაშინ ქონდა ალაგი, როცა ბანკის საქმეებს განაგებდენ შალიბაშვილის მეგობრები—ცნობილი მეფუთიაძე ზიქაი და ცნობილი „ხალხის საყვარელი" (ნოდიას თქმით) **ალექსანდრე ხორავა**, რომელსაც 7 მარტს ხიდირბეგიშვილმა მართლა აჭამა სილა უშვერი ქცევისთვის და ახლა, აი განგებაც, თურმე ჩემი ბრალი ყოფილა ხორავას გალახვა!

თუ ჩვენ ბანკში რამე ურიგობა ჩაგვიდენია—დეე ეს აღმოაჩინოს სარევიზიო კომისიამ ან წევრთა კრებამ და არა ვიღაც უპასუხისმგებლო პირებმა. „დაკარგული" სამკითხველოც კარგათ არის მოწყობილი და თუ შალიკაშვილმა ის ვერ იპოვა, ეს რა ჩვენი ბრალია. როგორც ვიცი, ის ხშირად მოდის ქურდულად სურამში და თუ სამკითხველოში შესვლას ვერ ბედავს, გაგზავნოს ვინმე და დარწმუნდეს, სამკითხველო მოთავსებულია კოოპერატივის გვერდით, სწორედ მისი საამყო ამხანაგის კოწია ნოდიას მამის საკუთარის შენობაში დიდს ქუჩაზე!

„საქართველოს" და მისი თანამშრომლის ბ. შალიბაშვილის უტიფრობის ნათელ-საყოფად ვიტყვი კიდევ, რომ არც ერთ დაწესებულებებში „ჩემი" ჯგუფი არ ყოფილა გაბატონებული: კოოპერატივის გამგეობაში შედიოდენ ხარკის ამკრეფი ინსპექტორი და მისი მწერალი (მემარჯვენენი), ამხ. ალ. მეიერი (შრომის ჯგუფისა), ნოტარიუსი კეკელიანი (დაშნაკელი) და ჩარჩი გლეხი კორკოტაძე და ამ შემადგენლობაში მხოლოდ ოთხი ვიყავით სოციალ-დემოკრატობის აღმსარებელნი. მაისიდან ეს შემადგენლობა შეიცვალა ცოტათი, მაგრამ აქტიური მომუშავეები დარჩნენ ამხ. მეიერი ვენდტი, წუწუნავა და ლომინაძე (ს.-დ. ორი), მაგრამ პარტიულ ნიადაგზე არას დროს ადგილი არ ქონია უთანხმოებას. ასეა საქმე ბანკშიაც და სამკითხველოშიც.

გარდა ამისა შალიბაშვილი და მისი ჯგუფი არც ერთს დაწესებულებაში მონაწილეობას არ იღებენ და სურამის საზოგადოება იმდენად მომწიფებულია, რომ არც არსად მიიღებენ სამოქმედოთ. ასეთია კულტურული დაწესებულებები. რაც შეეხება სარევოლიუციო ორგანიზაციებს, კითხეთ სურამის სოფლის აღმასრულებელ კომიტეტს, იტრიის აღმასრულებელ კომიტეტს, მიხაილოვის აღმასრულებელ კომიტეტს, მიხაილოვა-ბორჯომ-სურამის შეერთებულ ორგანოს მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისას. ყველა ამ ორგანიზაციებმა დაგმეს შალიბაშვილის და მისი ამხანაგების მოქმედება, ჯერ დაატუსაღეს და შემდეგ გორის მაზრაში ცხოვრება აუკრძალეს. იმათ გმობს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და თუ **შალიბაშვილს სირცხვილის გრძნობა აქვს**, უნდა რცხვენოდეს, რომ მას და მის ამხანაგებს ახლოსაც არ იკარებს „**კომიტეტი სოციალ-ფედერალისტთა პარტიისა**, რომლის წევრებათ თავის თავს თვლიდენ ეს ვაჟბატონები, რისი ოფიციალური საბუთიც არსებობს—ეს არის პირი იმ თხოვნისა, რომელიც კავკასიის საგანგებო კომიტეტს მიართვეს ვითომდა ჩემდა გასაშვებლად.

„საქართველოს" და მისს რაინდს შალიბაშვილს ნება აქვთ ზემო ჩამოთვლილი ორგანიზაციები არაფრად ჩააგდონ, მაგრამ როცა შალიბაშვილი და მისი ამხანაგები რევოლიუციონერობაში სდებენ თავს და „საქართველო" მათ გულში იხუტებს—ეს იმდენად სამწუხარო არ არის, რამდენადაც სასაცილო.

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თავად გასცეს პასუხი ბ. შალიბაშვილს და ეს უკანასკნელი ვერ დაამცირებს ამ ორგანიზაციებს, როცა საქმეს ისე აცნობს მკითხველებს, ვითომ მთელი გორის მაზრა ხელში მეჭიროს და ჩემს ნებაზე ვატრიალებდე. ტყუილია აგრეთვე ის, ვითომ უმაღლესმა მთავრობამ ისინი გაამართლა. ისინი კი არ გაამართლეს, მხოლოდ მათ შესახებ საქმე მისცეს. საქმე გამოძიეს ბბ. ანდრეევმა და „საქართველოს" ერთმა ბელადთაგანმა ბ. გორდეზიანმა. ამათი ნაუშევარი ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ლოისეულად დაგმესეს და ვინ იცის იქნებ იმიტომ არის, რომ „საქართველოს" ისე გამაყვარ, როგორც რევოლიუციის მტერი და მთავრობის მოღალატე ამაზე ვეჭვობდი ბ. შალიბაშვილს: ფერ-უმარილი ვერ უშველის თქვენს ბახანჯ სარძლოს.

ასეთია ჩემი განმარტება, რამდენადაც საქმე ეხება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

დამრთეთ ნება მიბოძეთ ცოტა რამე ჩემი პიროვნების შესახებაც ვსთქვა.

პირადათ ჩემს წინააღმდეგ ბ. შალიბაშვილი ორ გვარ ტყუილს სწერს: ვითომ მე არ ვემორჩილებოდე მთავრობის ორგანოს და პირადი ქონებობით ვმოქმედობდე. ამ შემთხვევაში კიდევ გასაგები იქნებოდა, რომ ბ. შალიბაშვილი საქმის გარემოებას მხოლოდ თავისებურათ ხსნიდეს. მაგრამ გასაოცარია, როცა აშკარა ტყუილებს სწერს, ფაქტებს სრულიად ამახინჯებს ან თავის გემოვნებაზე სთხზავს. აი მაგალითები:

1) ბ. შალიბაშვილი უსირცხვილოთ სტყუის, როცა სწერს—ნინიძემ მილიციონერებს უბრძანა ხალხს თოფები ესროლეთო. ეს თვით საგამომძიებლო კომისიის წევრებსაც არ სჯერა, თუმცა ბ. შალიბაშვილის დამქაშები ბევრს ეცადნენ ეს საზიზღარი ცილისწამება სინამდვილეთ გაესაღებინათ.

2) სტყუის ბ. შალიბაშვილი, როცა სწერს, ვითომ საგამომძიებლო კომისიამ ჩემთან გამოგზავნოს 28 თიბათვეს წარმომადგენელი მოსალაპარაკებლათ, მთავრობას დავემორჩილებოდი და შალიბაშვილის ამხანაგები გამენთავისუფლებია. **არავინ ჩემთან არ ყოფილა გამოგზავნილი და არც არავინ ჩემი ნებით არ გადამიხახლებია.**

3) სტყუის და ფაქტებს ამახინჯებს ბ. შალიბაშვილი, როცა მკითხველს მოუთხრობს ჩემს ვითომდა მტრობის შესახებ შალიბაშვილისა და მისი ამხანაგების მიმართ: მართალია, არც შალიბაშვილს და არც მის ამხანაგებს მე პატივს არა ვსცემ და არა მარტო მე—აბა დამისახელეთ რაიმე დაწესებულება, სადაც შალიბაშვილს და მის ამხანაგებს ადგილი ქონდეთ! გარდა ამისა ტყუილია, ვითომ სურამის მოსამართლის მიერ ოთხი დღე ციხე მქონდეს მისჯილი. ბ. შალიბაშვილი გადმოგვცემს მისი მეგობრის ქუჩის ადვოკატის კ. ნოდიას საჩივარს. მართალია ამ ვაჟ-ბატონმა ყალბი საჩივარი აღძრა ჩემს წინააღმდეგ, მართალია ისიც, რომ ბ. სურამის მოსამართლე დაემყარა ნოდიას იურიდიულ სიბრძნეს და ერთადერთს მოწმეს ჩემის მხრით ბ. ხიდირბეგიშვილის დაკითხვაზე უარი მითხრა და მე ორი თუმნით დამაჯარიმა, მაგრამ სურამის მოსამართლეს ოლქის სასამართლო არ დაეთანხმა და მის წინააღმდეგ დაადგინა ეკითხოს ბ. ხიდირბეგიშვილს. ეკითხოს ბ. შალიბაშვილის ჰკუას და სინდისს, თუ რათ მოათავსა მან ეს ტყუილი.

— „მეორე უჩივის (ე. ი. მე მიჩივის) ცილის წამებას და ამაზედ ამ ჟ მათ საქმე სწარმოებს თფილისის ოლქის სასამართლოში"-ო ბრძანებს ბ. შალიბაშვილი, ეს მეორე, რომელიც მე მიჩივის არის თვით ბ. შალიბაშვილი. ეს საქმე ტრიალებს ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების გარშემო. ეს ერთადერთი საზოგადოება იყო სურამში, რომლის სათავეში ბ. შალიბაშვილი იდგა. მიუხედავათ 20—23 მარტის საზოგადო კრების დადგენილებისა შალიბაშვილმა საზოგადოებას არ ჩააბარა ქონება. ეს მე გაზეთში გამოვაქვეყნე. და წინადადება მივეცი ბ. შალიბაშვილს გამოსულიყო სამედიატორო სასამართლოში. მან ეს არ ინება და ოლქის სასამართლოს მიმართა. **საზოგადოების ხამხჯავრის მან პროკურორის მხჯავრი ამჯობინა** რაც, რასაკვირველია, მისი გემოვნების საკითხია, როგორც ძველი რეჟიმის გამოცდილ გამომძიებლისა.

მესამეს, ე. ი. მიხლა არუწევს, მე თურმე იმიტომ ვემტერები, რომ მისი მეოხებით 1916 წ. საზოგადოების გამგედ არ ამირჩიეს. ესეც ტყუილია. ბ. შალიბაშვილი რომ ერთმანეთში არ ურევდეს „დანოსს" და არჩევას ამას არ იტყოდა, რადგან მე ერთხელ კი არა ორჯერ ამირჩიეს სოფლის წარმომადგენლებმა (ოცის თავეებმა), მაგრამ **პოხრედნიკმა ვიზიროვმა არუწევის დანოსის გამო, რომ მე სოციალ-დემოკრატი ვარ, არ დამამტკიცა!** ამაზე შორს ადამიანის უსირცხვილობა, მგონი ვერ წავა! მეოთხე და მეხუთე, რომელსაც თურმე მე ვემტერები, ტატო ლომიძე და ჩიტო აკოფოვია. ესენი თურმე კოოპერატივის და სხვა დაწესებულებების ანგარიშს მთხოვდენ. ვთქვათ, ესენი მართლა მთხოვდენ ანგარიშს, მერე, თქვენ თავმჯდომარეობდით იმ კრებას და როგორ ვერ აუხსენით, რომ აკოფოვი სულ არ არის წევრი და კიდეც რომ იყოს განა კოოპერატივის ანგარიშს გარეშე პირი და ისიც შემთხვევით კრებაზე არ უნდა ახოვდეს. მთავრობის მოწერილება მაინც წაგეკითხა, რომელიც ბრძანებს, რომ კოოპერატივებს თავისი წესდება აქვთ და ამ წესდების ძალით მოქმედებენო. ბევრ სხვა ტყუილებს სწერთ, მაგრამ ღირს კია თქვენთან ლაპარაკი?

კირილე ნინიძე.

ზოგიერთებმა ხმები გაავრცელეს ვითომ ამხ. აპ. ორაგველიძეს მიეთვისებინოს საამხანაგო ფულები და სხვა. ამ საქმის შესახებ შესდგა სამედიატორო სასამართლო. სასამართლომ ამ საქმეს მოანდომა ექვსი სხდომა და ყოველ მხრივ საქმის გამორკვევის შემდეგ გამოიტანა ასეთი განაჩენი: აპოლონ ორაგველიძეს არ მიუთვისებია საამხანაგო ფული, პირიქით, ამხანაგობას აქვს კიდევ ორაგველიძეზე მისაცემი 38 მანეთი. ამგვარად გავრცელებული ხმები აპ. ორაგველიძის შესახებ ყალბი გამოდგა.

კალე ელენტი.

ფონდი.

შემოსწირა გაზეთ „ერთობის" ფონდის სასარგებლოდ 25 მან. საშა კოდანოვმა.

—

ჩემი საყვარელი მეუღლის ნინუცასი (პატუტის) გარდაცვალების მეორმოცე დღის (30 ივლისის) აღსანიშნავათ სპარსეთიდან გახსენებით სახელოვან გაზეთის „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ მცირედ წვლილს 10 მ. პატივისცემით ზანძელი რაჟდენი.

—

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის ორგანიზაციის 1 რაიონის კოლექტივისაგან მივიღეთ საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ 1775 მ. 75 კ. ეს ფული შემოვიდა კოლექტივის მიერ გამართულ სამ ლექციიდან.

—

მივიღე ერთობის ქუჩის მუშათა კლუბთან არსებულ ბავშვთა სექციისაგან, მათ მიერ გამართული საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ წარმოდგენის შემოსავალი 23 მ. 50 კ. ფული გადაცემულია დანიშნულებისამებრ.

მეორე რაიონის მდივანი.

—

მივიღეთ საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ ტრამვაის პარკისა და ცენტრალურ სადგურის მუშებისაგან 1146 მ. 75 კ. მოძრაობის მუშა მოსამსახურეთაგან მივიღე 728 მ 92 კაპ. ფული გადაცემულია დანიშნულებისამებრ.

მეორე რაიონის მდივანი რ. ს.-დ. მ. პ.

ქუთაისში

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ს. საათამდე

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტეხნიკური ქუჩა, №

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ქუთაისში

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი.
პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

ერთი თვით 2 მ. 60 კაპ., ცალკე ნომერი 12 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება" ოლღას ქუჩა, № 6.

16 ივლისიდგან თფ. გამოდის ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული ჟურნალი

სოფლის მუშა

ჟურნალის გამოწერა, ფული და მასალა მიიღება შემდეგი მისამართით: თფილისი. სასახლე, სპარსეთის დარბაზი, იოსებ გიორგის ძე ირემაშვილს. გამოსაწერი ფასი წლით 10 მან. ნახევარი წლით—5 მან., 3 თვით—2 მ. 50 კ. 1, თვით—80 კ.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба" (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба".

Подписная цѣна до конца года 9 р., 3 м. 5 р. 50 к., 1 мѣс. 2 р.

სწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.